პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კონსტანტინეს ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის დაკვეთა და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

№ 148 ოთხშაბათი, 31 აგვისტო, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი ოთხშაბათი, 31 აგვისტო. 1921 წ. № 148

31 აგვისტო
ოთხშაბათი

1910. პეტროგრადში მოხდა საზიზღარი მკვლელობა ფინლიანდის კომ. პარტიის ც. კ. წევრების და მუშაკების.
1864. ფ. ლასალის გარდაცვალება.

დღიური

— ახლო მომავალში მოსალოდნელია ომი პოლონეთსა და ლიტვას შორის.

— სახალხო კრებამ ირლანდიაში აირჩია პრეზიდენტი და მთავრობა. ირლანდია—ინგლისის დამოკიდებულება უაღრესად გამწვავდა.

გაამაგრეთ სახელმწიფო დაწესებულებები!

ეკონომიური კრიზისი, უსურსათობა, უპურობა უმთავრესი შემაფერხებელი მიზეზია შრომის ფრონტზე ჩვენი წარმატების გამარჯვების. შრომის ყოველი დეზერტირი და ცუღლუტი მუშა თავის დღეს იმით მართლულობს, რომ მან პურის ულუფა ვერ მიიღო და იძულებულია „პური არსობისა" სხვაგან ეძიოს.

რა გაეწყობა! ეს ისეთი საბუთია, რომლის წინაშე მრისხანე მბრძოლებიც უნდა ჩაჩუმდეს.

მაგრამ, როცა დღეს სხვაგვარი საჩივარიც ყოველ ნაბიჯზე გაისმის და როცა აღარ ვიცით საიდან მოვურიოთ თვით სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა თავაშვებულებას, ცუღლუტობას, თვითნებობას, ბიუროკრატობას და, რა ვიცი, კიდევ რას, მაშინ არ შეგვიძლია მრისხანეზე მრისხანეთ არ შევძახოთ მათ: კმარა ცუღლუტობა! დიადი პროლეტარული რევოლიუცია უფსკრულის პირას დგას, ამ რევოლიუციის დიდმამშობელი რუსეთის ხალხი მწვავე შიმშილისაგან გმინავს და თქვენ ამ პირობებში საცუღლუტოთ და „დასასვენებლათ", გასართობათ დრო მოგინახავთ!

ეს აშკარა დეზერტირობაზე უარესი სენია, ეს ჩუმი, შემპარავი ღალატია იმ კლასის, პროლეტარიატის, რომელმაც დიდ რევოლიუციის გაველ ბრძოლებში შესწირა, რაც კი რამ საუკეთესო მოეპოვებოდა მას, მთლად დაუდო კაცობრიობის ბედნიერებას მთელი თავისი კლასობრივი ინტერესები და დღესაც განაგრძობს უანგარო თავდავიწყებულ შრომას, საწარმოვო ფრონტზე!

ამხ. რიკოვმა სამართლიანათ შენიშნა, რომ ჩვენ „შაბლონს" მივსდევთ და ამ „შაბლონით" ქვეყანას ვღუპავთ. მან გვირჩია დაწესებულებების განმარტივება და „შაბლონის" უკუგდება. ცხადია ორივე ეს ჩვენ მთავარ მცნებათ უნდა გავიხადოთ დღეს, მაგრამ ეს არ კმარა!

შაბლონს მოკლებულს და განმარტივებულ დაწესებულებაში თუ ისევ ცუღლუტი „თანამშრომლები" გვეყოლება, საქმე მაინც ადგილიდან ვერ დაიძვრის და ჩვენი აპარატის გამაგრების ცდა ამაო იქნება.

მაშ საჭიროა, რომ ადგილზე დატოვებული „თანამშრომლები" ასრულებდნენ დაკისრებულ საქმეს წესიერათ, ენერგიულათ, ხელმძღვანელობდნენ რა მხოლოთ და მხოლოთ სახელმწიფოებრივი ინტერესებით,

აი მხოლოთ ასეთი „თანამშრომელი", თუნდაც მას ბიუროკრატი უწოდონ, დადგება თავის ღირსების სიმაღლეზე და სახელმწიფო დაწესებულებასაც გაამაგრებს.

რაც შეეხება მექრთამეებს, აშკარათ გარყვნილ გათახსირებულებს და პირად განცხომა სიამოვნებით გატაცებულებს, მათი ბედი უკანდაუხევლათ, დაუზოგველათ ისეთი უნდა იყოს, როგორც ამ დღეებში ყოფილ ამხ. პროკოფი კალანდაძეს ეწვია.

ჩვენ ვიცნობდით მას, ის თუმცა მუშათა წრიდან იყო გამოსული, მაგრამ ვერც ამ კლასობრივმა მდგომარეობამ, ვერც კომუნისტების (ძველი ბოლშევიკი იყო) სახელმა ვერ იხსნა ის იმ გათახსირებისაგან, რაც აწ შექმნილმა პირობებმა მოუმზადა მას.

„არარაიდან" ის გახდა „ყველაფერი": უფლების მქონე, ძალის პატრონი და ამ გარემოებამ გადისროლა ის პირადი კმაყოფილების, სიამოვნების მორევში.

მომენტი კი მოითხოვს კომუნისტისაგან კვლავ თავდადებულ ბრძოლას, კვლავ თავგანწირვას, ტანჯვას, თავშეკავებას და ათასნაირ მსხვერპლს. ძალა-უფლების დაპყრობით რევოლიუცია არ დასრულებულა, საჭიროა ამ ძალა უფლების შენარჩუნება ბოლომდის და მაშინ რევოლიუციაც საბოლოვოთ გაიმარჯვებს!

ჩვენ ძალა-უფლებას კვლავ ყოველ მხრიდან ემუქრებიან და ამ დროს კმაყოფილებაზე და პირად სიამოვნებაზე ფიქრიც კი საზარი ღალატია რევოლიუციის წინაშე.

და ასეთი მოღალატე, ცხადია, ვერ იქნება პატიოსანი „თანამშრომელი" არა თუ საგანგებო კომისიისა, არამედ საბინაო განყოფილებისაც კი.

ეს ყველაფერი ამხანაგ კომუნის თანამშრომლებს შეეხება, ხოლო „გარეშეებს" ჩვენ ვეტყვით: იმუშავებთ ერთგულათ, გადაუხვევლათ, ხაზგაუმრუდებლათ მმართველი პარტიის და საქრევკომის დირექტივების ქვეშ, ხომ კარგი, ღირსი იქნებით სჭამოთ „პური არსობისა", ხოლო თუ არა მაშინ თქვენი სასჯელი მხოლოდ ერთია: თქვენ უნდა დარჩეთ უპუროთ, რომ თქვენი ულუფა პატიოსანმა მუშაკებმა მიიღონ.

მაშ ასე: ამიერიდან შაბლონს მოკლებულ და გამარტივებულ დაწესებულებებში დარჩენილმა „თანამშრომლებმა" უნდა დაიცვან შრომის დისციპლინის ყველა წესები და მით გაამაგრონ საბჭოთა რესპუბლიკა.

მთიელთა რესპუბლიკაში

დეპეშა კავკასიდან საქართველოს რევკომს

საბინაო და სასურსათო კრიზისის გამო მთიელთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა, რომ ამა წლის 2 ივლისიდან დროებით ახალ განკარგულებამდე კავკასიაში შემოსვლა შეიძლება მხოლოდ მივლინებულ დოკუმენტებით ახალ დაწესებულებების და ორგანიზაციების შესვლა კავკასიაში აკრძალულია, თუ ამაზე სახალხო კომისართა საბჭოს წინასწარი თანხმობა არ არის მიღებული. ამის შესახებ აცნობეთ ქვემდებარე ორგანოებს და მცხოვრებთ.

მთიელთა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე თახოევი.
სახ. კომ. საბჭოს საქმეთა მმართველი კალმიკოვი.

ბრძოლა სიმშილობასთან

ამერიკის პირობა.

მოსკოვი. 19 აგვ. გაზეთი „ჩიკაგო ტრიბუნი" შემდეგ დაწვრილებითი ცნობებს იუწყება შესახებ იმ პირობებისა, რომელზედაც ამერიკის „გაერთიანებული მშიერთა დამხმარე საზოგადოების თავმჯდომარე ჰუვერი თანახმაა რუსეთის დამშეულთა დასახმარებლად.

1) საბჭოთა მთავრობამ უნდა მიმართოს უშუალოთ „გაერთიანებულ ამერიკის საქველმოქმედო საზოგადოების მოწოდებით დამშეულთა დახმარების აღმოჩენით, 2) ამერიკის „გაერთიანებულ საქველ მოქმედო საზოგადოების წარმომადგენელნი უნდა სარგებლობდენ სრული თავისუფლებით რუსეთში გადასასვლელად. 3) ამ წარმომადგენლებს უნდა მიეცეს უფლება მშიერთა დამხმარე ადგილობრივ კომიტეტებისა მოწყობისა საბჭოთა მთავრობის სრულიად ჩაურევლად, 4) საბჭოთა მთავრობამ უფასოთ უნდა დაუთმოს ამერიკელ საქველ-მოქმედო ორგანიზაციებს თავიანთ საჭიროებისათვის ყოველგვარი საწყობი და სატრანსპორტო საშვალებანი 5) მიუხედავათ იმ ულუფისა, რომელიც ეძლევათ ამერიკელ საქველმოქ. საზოგადოების მიერ ბავშვებსა და ინვალიდებს ისინი მიიღებენ სხვებთან ერთად თანასწორად ნორმალურ ულუფას. 6) საბჭოთა მთავრობა საქველმოქმედო საზოგადოების მუშაკთ აძლევს, სრულ გარანტიას პიროვნულ ხელშეუხებლობისას.

დახმარება არგენტინიდან.

ბერლინი. 24 აგვისტო (რადიო). არგენტინის მთავრობამ მუშათა დადგენილებით გადასდო რუსეთის დამშეულთათვის 10 მილ. პეზოზი. არგენტინის მუშებს არა ერთხელ გამოუჩენიათ თავისი სიმპატიები საბჭოთა რუსეთისადმი. 1920 წ. როდესაც, გამოქვეყნდა სარწმუნო ცნობა ვარშავის აღების შესახებ წითელ არმიის მიერ, ბუენოს აირესის მუშებმა რუსეთის მუშების გამარჯვების საპატივცემოთ გამართეს ერთი დღით გაფიცვა. ამ ჟამად სამხრეთ ამერიკის მუშები სცდილობენ აიძულონ არგენტინის, ურაგვაის, ჩილისა და ბრაზილიის მთავრობები, რომ გაგზავნონ რუსეთში თეთრი ყავა და ლობიო.

ლაყბობას თავი დავანებოთ, საქმეს ხელი მოვკიდოთ.

მოსკოვი. 27 8. (რადიო). ნიჟეგოროდის მე-8 ყრილობამ გამოსთქვა სურვილი სასწრაფო გადასახადის აკრეფისა. ყრილობა დამთავრდა ადრე, რადგანაც ყრილობის მონაწილენი დაუყონებლივ გაემგზავრნენ ადგილობრივ სამუშაოთ.

თვითონ მოაქვთ.

მოსკოვი. 27 აგვ. (რადიო). ვიატსკის მაზრაში გლეხებმა შეაგროვეს ათასი ფუთი ნებაყოფლობით შემოწირული ხორბალი დამშეულებისათვის. გლეხთა დელეგაციამ წაიღო შეგროვილი შემოწირულება ვოლგის რაიონის დამშეულებს.

პირველი ძნა დამშეულებს.

ლოხვიცი. 27 აგვისტო (რადიო). ბელორუსიის სოფლებში თავის ნებით სწირავენ დამშეულებს პირველ ძნას ან 10 ფუთ ჭვავს კომლზე.

უხვი დახმარება.

მოსკოვი. 27 აგვისტო (რადიო) მენზელინსკის მაზრის გლეხობამ შეაგროვა თურქესტანში დამშეულებისათვის 200,000 ფ. ხორბალი და 7 მილიონი მანეთი ფულათ.

არ უცდიან მოწვევას.

მოსკოვი. 27 აგვ. (რადიო). კაშინის მაზრაში სათესლე ხორბლის მოგროვება კარგათ მიმდინარეობს. გლეხობამ არ მოუცადა რწმუნებულს და თავის ნებით ჩააბარეს ადგილობრივ კოოპერატივს 5000 ფუთი.

ბავშვებისათვის.

მოსკოვი. 27 აგვ. (რადიო) გომელში მოწყობილია ბავშვებას თავშესაფარი და სასადილო სამი ათასი კაცისთვის.

ზაკასპიის და სამარკანდის ოლქებში გახსნა თავშესაფარი 5000 ბავშვისთვის.

კაპიტალიზმის სამეფოებში

პოლონეთ-ლიტვის კონფლიქტი.

მინსკი. 27 აგვისტო. (რადიო). კოვნოში მოხდა სამხედრო საბჭოს სხდომა, რომელზედაც სამხედრო მინისტრმა განაცხადა, რომ არ არის საფუძველი იმედის დამყარებისა მასზე, რომ კონფლიქტი მშვიდობიანათ დასრულდება და როგორც ჩანს მოხდება სამხედრო ძალისადმი მიმართვა.

ლიტვას არ შეუძლია ვილნოს უმისოთ არსებობა. სამხედრო საბჭომ დაადგინა შეუდგეს მთელი წყება ზომების განხორციელებას პოლონეთის [illegible] მოსაგერიებლად. და აგრეთვე აიძულოს პოლონეთი საკითხის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა. ლიტვის მცხოვრებნი ძლიერ აღელვებულნი არიან ცნობით, რომ ჟელიგოვსკი ემზადება თავდასხმისათვის.

ინგლისი და ირლანდია.

ნაუენი. 28 აგვისტო, (რადიო), სახალხო კრებამ პრეზიდენტათ ირლანდიის რესპუბლიკისა აირჩია ვალერა. ამავე კრებაზე არჩეული იქმნა ირლანდიის მთავრობა. რესპუბლიკის ფინანსიური მდგომარეობის გასამაგრებლად გადაწყვეტილია აიღონ სესხი 20 მილიონი დოლარი ამერიკიდან და ირლანდიაში 500 ინგლისური გირვანქა.

— სახალხო კრების დადგენილების თანახმად ვალერამ ოფიციალურად აცნობა ლოიდ ჯორჯს, რომ ირლანდიის ხალხი კატეგორიულად უარყოფს ინგლისის წინადადებას. ხალხის წარმომადგენლნი აცხადებენ სურვილს აწარმოონ ინგლისთან მოლაპარაკება ([illegible]) ლოიდ ჯორჯმა ვალერას ამ განცხადებაზე უპასუხა, რომ ინგლისის მთავრობა აღშფოთებით გაეცნო ირლანდიის პასუხს და კვლავ აღარ სურს განახლოს მასთან მოლაპარაკება ვინაიდან ირლანდიას სთვლის ბრიტანიის იმპერიის ნაწილად. (კვირისტა).

მომხსენებელი ვერ გამოძებნეს

ბერლინი. 24 აგვისტო. (რადიო). ერთა ლიგა, რომელსაც უმდლესმა საბჭომ მიანდო ზემო სილეზიის საკითხის გადაწყვეტა, დიდ დაბრკოლებას განიცდის, ვინაიდან მომხსენებელი ვერ გამოძებნეს ამ საკითხის შესახებ.

ყვითელ აღმშენებელთა ყრილობა

ვენა. 24 აგვისტო (რადიო) ინსბრუკში გაიხსნა ქვის მომჭრელთა და აღმშენებელთა პროფკავშირთა საერთაშორისო ყრილობა. ყრილობამ, რომელსაც ხელმძღვანელობს ყვითელი კავშირები, არ დაუშვა გერმანიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელნი, აგრეთვე წითელ პროფკავშირთა ინტერნაციონალის დელეგატები. ამიტომ, იტალიის ყველა დელეგაციებმა უარი განაცხადეს მონაწილეობის მიღებაზე ყრილობაში.

გერმანია.

სტრასბურგი უსინათლოთ.

ბერლინი. 27 აგვ. (რადიო). სტრასბურგის მუშებმა გამოაცხადეს გაფიცვა თანაგრძნობისა ელზას ლოთარინგის გაფიცულ მუშათა მხარის მისაცემათ. ქალაქი სიბნელეშია, რადგანაც ელექტრონის და გაზების ქარხნები არ მუშაობენ. აგრეთვე შეჩერებულია ქალაქის ტრამვაის მოძრაობა.

ინგლისი.

2500 კომუნისტებისათვის.

ნაუენი. 27 აგვ. (რადიო). უელსში დამატებითი არჩევნებში კომუნისტ კანდიდატმა მიიღო 2500 ხმა. უმეტესი ხმა მიიღო შრომის პარტიის კანდიდატმა 13,000 ხმა. კოალიციის კანდიდატმა მიიღო 8 900 ხმა.

საბჭოთა კოოპერაციის გამარჯვება

ვენა 28 აგვისტო (რადიო) ბაზელიდან იუწყებიან, რომ აგვისტოს 22 გახსნილ კოოპერატივთა საერთაშორისო კონგრესზე დიდი კამათი გამოიწვია რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბ. კოოპერატივთა ორი დელეგატის დაშვების შესახებ. დიდი ბრძოლის შემდეგ დელეგატების მანდატები იყო დამტკიცებული.

ფინეთი

ვნახოთ.

რიგა 26 აგვისტო (რადიო) ფინეთის პრესაში კამათი სწარმოებს—ჰელსინგფორსის კონფერენციაზე იყო თუ არა დადებული საიდუმლო ხელშეკრულობა ბალტიის სახელმწიფოთა მიერ, მიმართული საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

იაპონია

ვინ ვის

რიგა 15 აგვისტო (რადიო) იაპონიის მთავრობამ შეერთებულ შტატების საზღვაო დიდი პროგრამის მიღების საპასუხოდ, შეუკვეთა შვეიცარიის ფირმას მოტორები წყალქვეშა დიდი ნავებისთვის ორჯერ დიდი ძალისა, ვიდრე შეკვეთილი ამერიკის მიერ.

ქრონიკა

◆ **ულუფის დარიგება** 30 აგვისტოდან შეუდგნენ ივლისის თვის სასურსათო ულუფის დარიგებას მუშა-მოსამსახურეებისათვის. მომუშავეს მიეცემა ¼ თამბაქო და 250 ც. პაპიროსი, ხოლო [illegible]-2 კოლოფი ასანთი და 2 გირ. მარილი

◆ **სეტყვისაგან დაზარალებულ რაიონის გამოკვლევა.** ეხლახან დაბრუნდა თბილისში მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის მიერ აგრონომ ჩოლოყაშვილის თავმჯდომარეობით მოწყობილი კომისია, სოციალურ უზრუნველყოფის და მუშურ-გლეხური ინსპექციის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელიც გაგზავნილი იყო სეტყვისაგან დაზარალებულ კარდანახის რაიონის გამოსაკვლევად. კომისიამ გამოარკვია, რომ ამ რაიონის უმდიდრესი სავენახე ბაღები მთლად გაფუჭებულია, და მოსახლეობას არ ექნება ყურძნის მოსავალი ორი წლის განმავლობაში. აღძრულია შუამდგომლობა დაზარალებულების ყოველ გვარ ნატურალურ და ფულის გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ და მათთვის [illegible] სამკურნალო მასალების და ტანსამოსის მიწოდებაზე.

ახალი თეატრი

27 აგვისტოს დავით კობახიძის მეთაურობითა და რეჟისორობით დაიდგა სრულიად ახალი პიესა რუსულით გადმოღებული, სახელით „[illegible]", ცნობილი სოციალისტ პოეტის, ემილ ვერჰარნის ნაწარმოებიდან — „ზორიდან" გადმოკეთებული, კომპოზიცია ვსევოლოდ მეიერხოლდის და ვალერი ბებუთოვის მიერ. ქართული თარგმანი ეკუთვნის ს. ფაშალიშვილს.

ჩვენ დავესწარით ამ წარმოდგენას და საჭიროთ ვთვლით გაუზიაროთ მკითხველს ჩვენი შთაბეჭდილება და აზრი.

უპირველესად უნდა ითქვას, რომ ჩვენში ეს საქმე სრულიად ახალია. ამისთვის ჩვენი სათეატრო აუდიტორია არც სიტყვიერათ და არც მწერლობით წინასწარ მომზადებული არა გვყავს.

ჩვენ დღემდე ისიც არ აღგვინიშნავს პრესაშიაც კი, რომ რუსეთში არსებობს და მოქმედებს ეგრეთ წოდებული „კომუნისტური თეატრი."

ეს მიეწერება იმ გარემოებას, რომ ჩვენში სწორედ ახლა მოულოდნელათ გაჩნდა საბჭოთა რესპუბლიკა და აი ამის ერთი შედეგთაგანი არის ეს ახალი თეატრი, რომლის დაარსება—ხელმძღვანელობა იკისრა ჩვენმა პოლიტიკური განათლების მთავარმა სამმართველომ, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ ყველაფრიდან სჩანს, რომ ნაკისრები საქმე ვერაა შესრულებული. ამას, ცხადია, თავისი გასამართლებელი მიზეზები აქვს.

რუსეთში ახალი თეატრის იდეა ჯერ ისევ დიდი რევოლიუციის დაწყებამდე დაიბადა და კიდეც იყო ცდა, რომ იქ მუშებს შექმნათ თავისი საკუთარი სახელოვნო სასახლე, სადაც უთუოთ შეჰქონდენ ახალ თეატრს. ეს მათ რევოლიუციამდე ვერ მოახერხეს და აი ახლა, როცა საბჭოთა რესპუბლიკა უკვე დამყარებულია, ფართოთ შლის ეს ახალი თეატრი იქ იქ უკვე შესაფერათ მოწყობილია ამისთვის განსაკუთრებული შენობა, შედგენილია განსაკუთრებული მსახიობთა დასი და შექმნილია აგრეთ საჭირო დეკორაცია კოსტიუმები და სხვა სათეატრო მოწყობილობანი. დიდი როლი უკავია ახალ თეატრში მუსიკას და ამიტომ ამ თეატრის მუსიკაც თავისი საკუთარი ჰყავს. და ჩვენ გვგონია, რომ მაყურებლებიც შესაფერი უნდა ეყოლოს ამ თეატრს. „კარგ მთქმელს, კარგი გამგონე უნდაო," ნათქვამია საერთოდ და ეს სწორეთ შეეხება თეატრს. მაყურებელ-მსმენელი თუ შესაფერათ მომზადებული არაა ლიტერატურულათ, ესთეტიურათ და სოციალურათაც კი, ისე ვერავითარი პიესა ვერ მოახდენს სათანადო შთაბეჭდილებას და შესაფერ აზრსაც ვერ ჩასცემს მაყურებელ-მსმენელს.

რუსეთში ეს პირობები, უნდა ვიფიქროთ, დაცულია, ვინაიდან იქაური მსმენელ მაყურებელი პარტიული მუშა ასეთი პიესებისათვისაც როგორც არის ვერჰარნის „[illegible]", საკმაოთ მომზადებულია.

ჩვენი პირობები კი სულ სხვაა და აი მეთაურ ხელმძღვანელთა მხრივ ყველაზე სულ დავიწყებათ ეს ჩვენი პირობები და ამიტომ მათ გამოუვიდათ „შაბლონი". აი ეს „შაბლონობა" არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ ჩვენი პოლიტგანის მიერ დაწყებული საქმე—ახალი თეატრი—სრულიად უპერსპექტივოთ არის მიტოვებული თვით მასისაგან—თეატრში სულ რამდენიმე ასიოდე კაცი თუ იქნებოდა.

საქმე იმშია, რომ კომუნისტური ხელოვნების მაღალი ფორმა, ისე როგორც კომუნისტური იდეოლოგიის მეცნიერული ფორმა ჩვეულებრივი მშრომელი მასისათვის ხელმისაწვდომი და შესამჩნევ-გასაგები არაა; და ეს მანამ იქნება ასე, ვიდრე თვით მასა კომუნისტური კულტურის საჭირო სიმაღლის დონეზე არ დადგება. ეს კი მომავლის საქმეა, ხოლო დღეს ეს კულტურა და მისი სიმაღლე მხოლოთ კომუნისტურათ საკმაოთ მომზადებული პარტიული მასისთვის არსებობს.

ნ. ლენინი.

სასურსათო გადასახადის შესახებ

(დასასრული იხ. „კომ" № 147).

პოლიტიკური შედეგები და დასკვნანი.

დაგვრჩენია-ღა შევეხოთ, თუნდაც მოკლედ, ამ საერთო ვითარებას, რომელიც მოეწყო და [illegible] იქმნა ზემოდ დასურათებულ ეკონომიკასთან დაკავშირებით.

მე უკვე ვსთქვი, რომ ძირითადი თვისებანი ჩვენი ეკონომიკისა 1921 წელს ისეთივეა მეთქი, როგორიც იყო 1918 წ.

1921 წლის გაზაფხულზე, უმთავრესად მოუსავლიანობისა და საქონლის ჭირის გამო, ომებისა და ბლოკადისგან უმისოდაც შევიწროვებული მდგომარეობა გლეხკაცობისა, ძალზე გამწვავდა. შედეგად ამ გამწვავებისა შეიქმნა ის პოლიტიკური რყევანი, რომელიც, საზოგადოდ რომ ვსთქვათ „თვით ბუნებაა" წვრილ მწარმოებლისა. უმწვავესი გამოჩინება ამ რყევათა იყო კრონშტადტის აჯანყება.

ამ აჯანყების უმთავრესი დამახასიათებელი თვისება სწორედ ამ წვრილ ბურჟუაზიული სტიქიონის რყევაა. რაიმე ჩამოყალიბებულსა და დამთავრებულს მოვლენას ჩვენ აქ ვერა ვხედავთ. ჩვენ გვესმის მხოლოდ ბუნდოვანი ლოზუნგები: „თავისუფლება" „თავისუფალი ვაჭრობა" ხელის გახსნა", „საბჭოები უბოლშევიკოდ", „ახალი არჩევნები საბჭოებისა", „გაგვანთავისუფლეთ პარტიულ დიქტატურისაგან" და სხვა ამისთანები. როგორც მენშევიკებმა, ისე ესერებმა ეს აჯანყება „თავისად" გამოაცხადეს. ვიქტორ ჩერნოვმა შიკრიკი აფრინა კრონშტადტში, რომელი შიკრიკის წინადადებითაც მენშევიკმა ვალკმა — ერთ-ერთი ხელმძღვანელმა კრონშტადტის აჯანყებისამ—„უჩრედილკა" მოითხოვა. რადიო ტელეგრაფიულის საშუალებით მთელი თეთრგვარდიელობა ფეხზე დააყენეს „კრონშტადტისათვის". თეთრგვარდიელთა სამხედრო სპეციალისტები,—ბევრი სპეციალისტი და არა მარტო კოზლოვსკი,—იმუშავებენ გეგმას ორანიენბაუმში დესანტის გადმოსასხმელად, ამ გეგმამ თავზარი დასცა მენშევიკ ესერ-უპარტიოთა მასებს. ორმოცდა ათზე მეტმა თეთრგვარდიელთა გაზეთმა საზღვარგარეთ ქორიშხალისებური ენერგიით გააჩაღეს პროპაგანდა „კრონშტადტისათვის". მსხვილი ბანკები, ყველა ფინანსიური ძალა, ხსნიან კრედიტს კრონშტადტის საშველად, კადეტი მილიუკოვი პირდაპირ უცხადებს სულელ ვიქტორ ჩერნოვს (ხოლო კრონშტადტთან დამოკიდებულებისა გამო პეტერის ციხეში დამწყვდეულ მენშევიკებს დანსა და როჟკოვს არაპირდაპირ) რომ ნუ ჩქარობთ „უჩრედილკის" მოწვევას, სასურველია და საჭიროც არის ჯერ-ჯერობით უბოლშევიკო საბჭოთა მთავრობას დავუჭიროთ მხარიო.

საკვირველი არაფერია რომ კაცი უფრო ჭკვიანი იყოს ისეთ თვითმოყვარე სულელებზე, როგორც არიან ჩერნოვი,—ეს გმირი წვრილ-ბურჟუაზიული ფრაზებისა, ან მარტოვი,—ეს რაინდი „მარქსიზმის" ნიღაბ ქვეშ ამოფარებულ მეშჩანურ რეფორმიზმისა და არც ამაშია საქმე რომ მილიუკოვი, როგორც პიროვნება უფრო ჭკვიანია, საქმე იმაშია, რომ პარტიული მეთაური მსხვილი ბურჟუაზიისა უფრო ნათლად ხედავს, ამ ბელადს უფრო კარგად ესმის საქმის კლასობრივი ვითარება და პოლიტიკური ურთიერთობა, ვიდრე წვრილ ბურჟუაზიის ბელადებს ჩერნოვებსა და მარტოვებს, ვინაიდგან ბურჟუაზია მართლაც წარმოადგენს იმ კლასობრივ ძალას, რომელიც კაპიტალიზმისა, მონარქიისა და ასე გასინჯეთ, უუდემოკრატიულეს რესპუბლიკების დროსაც კი, აუცილებელი ბატონია მდგომარეობისა და აუცილებლადაც დიდ დახმარებას იღებს მსოფლიო ბურჟუაზიისაგან. წვრილი-ბურჟუაზია კი, ყველა გმირი მეორე და 2 ნახ. ინტერნაციონალებისა, საქმის ეკონომიურ ვითარებისა გამო, არ შეიძლება იყოს სხვა რაიმე, თუ არა გამომთქმელი კლასობრივ უძლურებისა. აი საიდან იბადება მხოლოდ ფრაზა, რყევა, უმწეობა. 1878 წელს წვრილ ბურჟუებს კიდევ შეეძლოთ ყოფილიყვნენ დიდებულ რევოლიუციონერებად, 1848 წ. ისინი გახდენ სასაცილონი და საპყარნი, ხოლო 1917—1921 წ. ისინი გადაიქცნენ საზიზღარ დამქაშებად რეაქციისა და ამ რეაქციის ფეხის ამლოკველ ლაქიებად, სულ ერთია ჰქვიანთ მათ ჩერნოვები თუ მარტოვები, კაუცკები, თუ მაკდონალდები და სხვა და სხვა.

როცა ბერლინში გამოცემულ თავის ჟურნალში მარტოვი აცხადებს, რომ ვითომც კრონშტადტი არა თუ ატარებდა მენშევიკების ლოზუნგს, არამედ მან დაამტკიცა, რომ შესაძლებელი ყოფილა ანტიბოლშევიკური მოძრაობა, რომელსაც ნაკლებად რამ აქვს საერთო თეთრგვარდიელობისა, კაპიტალისტებსა და მემამულეებთანა, განა ეს ნიმუში არ არის თავის თავში შეყვარებულ ნარგიზისა? მოდი დავხუჭოთ თვალები და ნუ დავინახავთ იმ ფაქტს, რომ თეთრგვარდიელები სალამს უძღვნიდენ კრონშტადტელებს და ბანკების საშუალებით აარსებდენ ფონდებს კრონშტადტის საშველად! მილიუკოვი ჩერნოვებსა და მარტოვებზე უფრო მართალია, ვინაიდგან ის აჩენს ჭეშმარიტ ტაქტიკას ჭეშმარიტ თეთრგვარდიელთა, კაპიტალისტთა და მემამულეთა ძალისას: მოდი და მხარი დავუჭიროთ რასაც გნებავთ, როგორ საბჭოთა მთავრობასაც გნებავთ, ოღონდ კი დავამხოთ ბოლშევიკები, ოღონდ-კი ხელისუფლება დავსძრათ თავის ადგილიდან სულ ერთია საით გადაიხრება მარჯვნივ თუ მარცხნივ, მენშევიკებისაკენ, თუ ანარქისტებისაკენ, ოღონდ კი ერთი ადგილიდან დაიძრას და მერე „ჩვენ"—მილიუკოვებმა—„ჩვენ კაპიტალისტებმა და მემამულეებმა ვიცით, რასაც ვიზამთ: ანარქისტებსა, ჩერნოვებსა და მარტოვებს კანწს კვრით ვიფრენთ ისე როგორც მოექცნენ ციმბირში ჩერნოვს და მაისკის, ისე როგორც მოექცნენ ჰუნგარეთში ჩერნოვებსა და მარტოვებს, ისე როგორც მოექცნენ გერმანიაში კაუცკის, ვენაში ფრ. ადლერსა და კომპანიასო ამ მეშჩანურ ნარგიზებს—ესერებს, მენშევიკებს, უპარტიოთ,—საქმიანი, ჭეშმარიტი ბურჟუაზია ათასობით ასულელებდა სხვა და სხვა ქვეყნების რევოლიუციებიდან ათასობით თხევდით ერეკებოდა, ეს დამტკიცებულია ისტორიით. ეს შემოწმებულია ფაქტებით: ნარგიზები მხოლოდ იყბედიან, მილიუკოვ თეთრგვარდიელები კი საქმეს ისაქმებენ.

„ოღონდ კი ხელისუფლება დაიძრას ადგილიდან, ჩამოშორდეს ბოლშევიკებს და, სულ ერთია მარჯვნივ წავა თუ მარცხნივ,—საქმე თავის თავად მოგვარდებაო". ამაში სრულიად მართალია ბ-ნი მილიუკოვი, ეს კლასობრივი ჭეშმარიტებაა, შემოწმებული ყველა ქვეყნების რევოლიუციებით, ახალ ისტორიის მრავალ საუკუნოიანი ეპოქით, საშუალო საუკუნოების შემდეგ. გათავთავებულს, ათას ნაწილად დახლეჩილ წვრილ მწარმოებლებსა და გლეხობას ეკონომიურად და პოლიტიკურად აერთიანებს ბურჟუაზია (ასე იყო კაპიტალიზმის დროს ყველა ქვეყნებში, ყველა ახალი დროის რევოლიუციებში, ასე იქნება ყოველთვის კაპიტალიზმის დროს). ან პროლეტარიატი (ასე იყო ჩანასახის ფორმით ახალი ისტორიის უდიდეს რევოლიუციების განვითარების დროს, თუმცა ძალიან ცოტას ხნით, ასე იყო რუსეთშიაც 1917—1921 წლებს უფრო განვითარებულის ფორმით) „მესამე" გზის შესახებ, „მესამე" ძალაზე შეუძლიათ იყბედონ და იოცნებონ მხოლოდ თვითმოყვარე ნარგიზებმა.

უდიდესის შრომითა და თავგანწირული ბრძოლით გამოიმუშავეს ბოლშევიკებმა პროლეტარიატის მმართველი ავანგარდი, შექმნეს და დაიცვეს დიქტატურა პროლეტარიატისა და ოთხი წლის გამოცდილებათა შეწყობით ცხადზე უცხადესი შეიქმნა რუსეთის კლასობრივი ურთიერთობა და დამოკიდებულება. ფოლადივით ცეცხლში გამოწრთობილი ავანგარდი ერთად ერთ რევოლიუციონურ კლასისა, წვრილ ბურჟუაზიული სტიქიონი, საზღვარ გარეთ რომ მიმალულა და მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიის მიერ ზურგგამაგრებული მილიუკოვი, კაპიტალისტები, მემამულეები. საქმე ცხადზე უცხადესია, ხელისუფლების ადგილიდან ყოველივე დაძვრით შეუძლიათ ისარგებლონ და ისარგებლებენ კიდეც მხოლოდ ესენი.

ზემოდ აღნიშნულ 1918 წლის წიგნაკში პირდაპირ არის ნათქვამი: „უმთავრესი მტერი—წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიონია. ან ჩვენ დავიმორჩილებთ მას ჩვენს ზედამხედველობასა და კონტროლს, ან ეს სტიქიონი დაამხობს მუშათა ძალა უფლებას უცილობლათა და გარდაუვალად ისე, როგორც დაამხეს რევოლიუცია სწორედ ამ წვრილ-ბურჟუაზიულ ნიადაგზე ამოსულმა ნაპოლეონებმა და კავენიაკებმა. ასე სდგას საკითხი, მხოლოდ ასე სდგას საკითხი", (1918 წლის წიგნაკიდან, იხ. ზემოთ).

ჩვენი ძალაა—სრულის სიცხადითა და სიფხიზლით გამორკვევა ყველა არსებულ კლასობრივ რაოდენობათა—რუსეთისა, თუ საერთაშორისო—და შემდეგ აქედან წარმოშობილი რკინის ნება—ენერგია, სიმტკიცე, გამჭრიახობა და თავგანწირულება ბრძოლაში. მტერი ბევრი გვყავს, მაგრამ ისინი ან გათიშულნი არიან, ან თითონაც არ იციან, რა უნდათ (როგორც ყველა წვრილ ბურჟუაზიას, ყველა ჩერნოვებსა და მარტოვებს ყველა ანარქისტებსა და უპარტიოებს). ჩვენ კი შეკავშირებულნი ვართ, შინ პირდაპირ და მთელის ქვეყნის პროლეტარიატთან არაპირდაპირ. ჩვენ ვიცით, რაც გვინდა, ამიტომ ჩვენ უძლეველი ვართ მსოფლიო მასშტაბით, თუმცა ამით სრულიადაც არ ისპობა შესაძლებლობა პროლეტართა ამა თუ იმ დროის ცალკე რევოლიუციების დამარცხებისა.

წვრილი ბურჟუაზიულ სტიქიონს ტყვილად არა ჰქვიან სტიქიონი, ვინაიდან იგი მართლაც მეტად უსახო, განუსაზღვრელი და შეუგნებელი რაოდენობაა. წვრილ ბურჟუაზიის ნარგიზებს ჰგონიათ, რომ „საყოველთაო ხმისმიცემა" კაპიტალიზმის დროს სპობს—ბუნებას წვრილი მწარმოებლისას, ნამდვილად კი იგი შველის ბურჟუაზიასა დახმარებით ეკლესიისა, პრესისა, მასწავლებლობისა, პოლიციის, მხედრობისა, ათასგვარი ეკონომიურ სიდუხჭირისა,—შველის მას გათავთავებულ წვრილ მწარმოებელთა დამორჩილების საქმეში. ნგრევა, გაჭირვება, სიმძიმე მდგომარეობისა იწვევს რყევას. დღეს ბურჟუაზიისაკენაა, ხვალ პროლეტარიატისაკენ, მარტო ბრძოლაში გამობრძმედილ პროლეტარიატს შეუძლია არ დაემორჩილოს და მედგრათ აღუდგეს წინ ამ რყევას.

1921 წლის გაზაფხულზე მოხდენილმა ამბებმა ერთხელ კიდევ დაგვანახვეს როლი ესერებისა, და მენშევიკებისა: ისინი ხელს უწყობენ მერყევ წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიონს ბოლშევიკებიდან ჩამოშორებასა და „ხელისუფლების ადგილიდან დაძვრას". კაპიტალისტებისა და მემამულეების სასარგებლოდ. მენშევიკებმა და ესერებმა ახლა უპარტიოთა ფერის მიღებაც ისწავლეს. ეს დამტკიცებულია. მარტო სულელებს არ შეუძლიათ ახლა ამის დანახვა, მარტო ამ სულელებსა ჰგონიათ, რომ ჩვენც ვინმე გაგვასულელებს. უპარტიოთა კონფერენციები ფეტიში არ არის. ეს კონფერენციები ძვირფასნი არიან, როცა გვეხმარებიან ჯერ ისევ ყამირ ხელშეუხებელ მასებთან, ძვირფასნი არიან ისინი, როცა გვაცნობენ პოლიტიკის გარეშე მდგარ მილიონ მშრომელებს, მაგრამ იგივე კონფერენციები მავნებელნი არიან, როცა ხდებიან ასპარეზად „უპარტიოთა" ქურქში გახვეულ მენშევიკებისა და ესერებისა. ასეთი ხალხი აწყობს აჯანყებებს, ასეთი ხალხი შველის თეთრგვარდიელებს. მენშევიკებისა და ესერების—როგორც შეგნებულებისა ისე უპარტიოთა სიტყვებით გათხუპნილებისა—ერთად ერთი ადგილი სატუსაღოა (ან საზღვარ გარეთის ჟურნალები, თეთრგვარდიელთა გვერდით. ჩვენ სიამოვნებით გავუშვით მარტოვი საზღვარ გარეთ) და არა უპარტიოთა კონფერენცია. შესაძლებელია და საჭიროც არის სხვა გზის გამონახვა მასების გუნების შესამოწმებლად, მათთან დასაახლოვებლად. დაე წავიდნენ საზღვარ გარეთ ის, ვისაც უნდა ითამაშოს პარლამენტარიზმობა, „უჩრედილკობანა", „უპარტიოთა კონფერენციობანა". მიბრძანდით იქ, მარტოვთან. უმორჩილესადა გთხოვთ, გაიცანით მშვენიერებანი „დემოკრატიისა" გამოჰკითხეთ ვრანგელის ჯარისკაცებს, თუ როგორი არიან ეს მშვენიერებანი, ღიახ გთხოვთ მოწყალებით,—მიბრძანდით, ჩვენ კი „კონფერენციებზე" „ოპოზიციობანას" გათამაშებისათვის არა გვცალია. ჩვენ გარემოცულნი ვართ მსოფლიო ბურჟუაზიისაგან, რომელიც გაფაციცებით ითვალის ყოველ წუთს რყევისას, რომ კვლავ დაიბრუნოს „თავისიანები", რომ კვლავ ფეხზე დააყენოს კაპიტალისტები და მემამულენი. ჩვენ მუდამ დამწყვდეული გვეყოლებიან მენშევიკები, სულ ერთია შეგნებულნი არიან ისინი, თუ „უპარტიოთა" ქურქში გახვეულნი.

ჩვენ ყოველი ღონისძიებით ვეცდებით დავუახლოვდეთ პოლიტიკისაგან ჯერ ისევ ხელშეუხებელ მშრომელთა მასსებს,—რასაკვირველია, გარეშე იმ საშუალებათა, რომლებიც მისცემენ ფართო ასპარეზს მენშევიკებსა და ესერებსა, **მისცემენ ასპარეზს, მილიუკოვისათვის ხელსაყრელ მერყეობას.**

ჩვენ განსაკუთრებული ერთგულებით ჩავაბამთ საბჭოთა მუშაობაში ასსა და ათასს უპარტიოს, ჭეშმარიტად უპარტიოს მასსიდან, მდაბიო მუშებისა და გლეხების წრიდან გამოყვანილს, მაგრამ არა იმათ, რომლებიც გადაუცვამთ „უპარტიოთა" ქურქი, რომ თავისუფლად იკითხონ კონფერენციებზე მილიუკოვისათვის ასე სასარგებლო მენშევიკებისა და ესერებისაგან ნაკარნახევი დაწერილი შპარგალკა-ნაკაზები. ჩვენთან მუშაობს ასი და ათასი უპარტიო, მრავალ მათგანს ფრიად დიდი და პასუხსაგები თანამდებობა უჭირავს, მეტი შემოწმება მათ ნამუშევარს! რაც შეიძლება მეტი რიცხვი მშრომელებისა: მდაბიო, მორიგი მშრომელებისა, წაწიეთ წინ, მათდა გამოსაცდელათ. დაულალავათა და სისტემატიურად ათვალიერეთ მათი ნამუშევარი, ათობითა და ასობით წაახალისეთ, ჩააბით იგინი დიდ საქმეებში, გამოსცადით რა მათ, დარწმუნდებით რა მათ ვარგისობაში, კომუნისტებს ჩვენში ჯერაც კარგად ვერ შეუგნიათ თავისი დანიშნულება მართვა-გამგეობის საქმეში. მარტო „თვითონ" კი არ უნდა სცდილობდენ „ყველაფრის გაკეთებას", მარტო თვითონ კი არ უნდა იდგამდენ წელებზე ფეხს, ოცს საქმეს ჰკიდებდენ ხელს და არც ერთს კი არ ასრულებდენ, აზლოვდენ, არამედ ისინი უნდა ამოწმებდნენ მუშაობას ასი და ათასი თანაშემწესას, აწყონ მუშაობა ქვევიდან ე. ი. მასებიდან: მათ უნდა მიმართონ მუშაობა და ისწავლონ იმათგან, ვისაც ცოდნა (სპეცები) და გამოცდილება აქვს მსხვილ წარმოების მოწყობაში (კაპიტალისტები) ჰყავან კომუნისტებს არ სცხვენია და არც ეშინია ისწავლონ რამე სამხედრო სპეციალისტისაგან, თუმცა ასეთ სპეციალისტთა შორის ათში ცხრა მზათ არის ღალატისთვის ყოველ ჟამ ყოველ შემთხვევაში. ჭკვიან კომუნისტს არც სცხვენია და არც ეშინია ისწავლოს რამე კაპიტალისტისაგან (სულ ერთია იქნება იგი მსხვილი კაპიტალისტ კონცესიონერი, ვაჭარი—კომისიონერი, თუ ჯიჯა—კაპიტალისტ-კოოპერატორი) თუ ეს კაპიტალისტი უკეთესი არ არის სამხედრო სპეცზე. ჩვენ ხომ უკვე ვისწავლეთ, როგორ უნდა შევუტიოთ ხოლმე გამცემლობა სამხედრო სპეცებს წითელ ჯარში, ჩვენ ხომ ვიგებთ ახლა რომელი მათგანია ბეჯითი და კეთილ სინდისიერი და ვაწინაურებთ მათ ასობით და ათასობით, რასაც დიდი სარგებლობა მოაქვს ჩვენთვის. ჩვენ ხომ ვსწავლობთ ახლა ამასვე (სხვა ფორმით კი) შესახებ ინჟინერებისა და მასწავლებლებისა, თუმცა ამ საქმეს აქ ბევრად ცუდად ვაკეთებთ ვიდრე წითელ ჯარში (იქ კოლჩაკმა და დენიკინმა შეგვაგულიანეს და გვაიძულეს გვესწავლა საჩქაროთ გულ დასმით, შეგნებით) მაშ, ვისწავლოთ ესევე (თავისებურ ფორმაში კი) შესახებ კომისიონერ ვაჭრებისა, სახელმწიფოსათვის მომუშავე შემსყიდველებისა, კოოპერატორ—ჯიჯა კაპიტალისტებისა, კონცესიონერ—მწარმოებლებისა და სხვათა და სხვათაგან.

მუშათა და გლეხთა მასსებს სჭირიათ დაუყოვნებლივ გაუმჯობესება თავისი მდგომარეობისა. ჩავაბამთ რა მუშაობაში ახალ ძალებს, მათ შორის უპარტიოებსაც ჩვენ მალე მივაღწევთ ამ მიზანს. ამასვე ხელს შეუწყობს სასურსათო გადასახადი და მასთან დაკავშირებული ღონისძიებანი. ამით ჩვენ მოვჰკვეთთ ეკონომიურ ფესვებს წვრილ მწარმოებლის აუცილებელ მერყეობას. ხოლო იმ პოლიტიკურ მერყეობას, რომელიც სასარგებლოა მარტო მილიუკოვისათვის, ჩვენ გამოვუცხადებთ დაუნდობელ ბრძოლას. მერყევი მრავალია, ჩვენ კი ცოტანი ვართ. მერყევნი განკვეთილნი, განცალკევებულნი არიან, ჩვენ კი შეკავშირებულნი. პროლეტარიატი ეკონომიურად დამოუკიდებელია. მერყევებმა კი არ იციან, რა სურთ მათ: რაიცა უნდათ, რაიცა სტკივათ, მაგრამ მილიუკოვი გასაქანს არ აძლევს ჩვენ კი კარგად ვიცით, რასაც გვწადია.

ამიტომაც ჩვენ დავამარცხებთ მათ, ჩვენ გავიმარჯვებთ.

დასკვნა.

გავუკეთოთ ჯამი ჩვენს ნათქვამს.

სასურსათო გადასახადი არის გადასვლა სამხედრო კომუნიზმიდან სოციალურ ნაყოფთა სწორ გაცვლა-გამოცვლაზე.

1920 წლის მოუსავლიანობით გართულებულმა უკიდურესმა გაჭირვებამ და მსხვილი წარმოების სწრაფად აღდგენის შეუძლებლობამ, აუცილებელ საჭიროებად გახადა ეს გადასვლა.

აქედან პირველყოვლისა უნდა გავაუმჯობესოთ გლეხების მდგომარეობა, საშუალება: სასურსათო გადასახადი, განვითარება მიწად-მოქმედების და მრეწველობის აღებ-მიცემობისა, განვითარება წვრილი წარმოებისა.

აღებ-მიცემობა არის თავისუფლება ვაჭრობისა, არის კაპიტალიზმი. იგი სასარგებლოა ჩვენთვის იმ ზომამდე, რომელი ზომამდეც საშუალებას მოგვცემს ჩვენ შევებრძოლოთ განკვეთილი, განცალკევებული წვრილი წარმოება და ერთათ ვებრძოლოთ, ბიუროკრატიზმს, ამ ზომას ჩვენ გვიჩვენებს პრაქტიკა, გამოცდილება. ვიდრე პროლეტარიატს მტკიცედ უპყრია ხელში ხელისუფლება, ტრანსპორტი და მსხვილი წარმოება, იქ პროლეტარიატისთვის საშიშო არა არისრა.

ბრძოლა სპეკულიაციის წინააღმდეგ ჩვენ უნდა გადავაქციოთ ბრძოლად როგორც წინააღმდეგ მტაცებლობისა ისე წინააღმდეგ იმათი, ვინც მოინდომებს დაემალოს, გაექცეს სახელმწიფოებრივ კონტროლსა და აღრიცხვიანობას. ასეთ კონტროლის შემწეობით ჩვენ წარვმართავთ ერთ გვარ ზომამდე აუცილებელსა და ჩვენთვის საჭირო კაპიტალიზმს სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმისაკენ.

ყოველმხრივი, ყოველ ღონისძიებით,—რათაც არ უნდა დაჯდეს—განვითარება თაოსნობა ინიციატივისა, დამოუკიდებლობისა დაბა ქალაქად მიწადმოქმედებისა და მრეწველობის აღებ მიცემის საქმეში შესწავლა პრაქტიკულ გამოცდილებათა ამ მხრივ უკიდურესს შესაძლებლობამდე, გამრავალფეროვნება ამ აღებ-მიცემობისა.

დახმარება წვრილ წარმოებას, რომელიც ემსახურება გლეხთა მიწადმოქმედებას, და მხარს აძლევს მას ფეხზე დასადგომათ, განსაზღვრულ ზომამდე დახმარება მას სახელმწიფოს ნედლი მასალის დარიგებითაც. კიდევ ნედლი მასალის დაუმუშავებლად დატოვება უფრო მეტი დანაშაულობაა.

ნუ შეეშინდებათ კომუნისტებს რაიმე შესწავლისა ბურჟუა სპეცებისა, ვაჭრებისა, ჯიჯა კაპიტალისტ კოოპერატორებისა და კაპიტალისტებისაგან. ისწავლონ მათგან ფორმით სხვაგვარად, საქმით კი ისე, როგორც ვსწავლობდით და ვისწავლეთ სამხედრო სპეცებისაგან. შედეგი „მეცნიერებისა" შემოწმებულ უნდა იქნეს მხოლოდ პრაქტიკული გამოცდილებით: გააკეთე უკეთესად, ვიდრე ეს გააკეთებინათ შენ გვერდით ბურჟუაზიულ სპეცებს, მოახერხე და ამა თუ იმ გზით აღორძინე მიწადმოქმედება, მრეწველობაში მათ ურთიერთობა და აღებმიცემობა ნუ დაგვანებებ, ნუ იძენ „ცოდნის" მისაღებად ხარჯებს გაკვეთილზე: მეცნიერებისთვის გადახდილი თუნდაც დიდი ფული ფასიანი არ არის, ოღონდ კი შეძენილი ცოდნა სასარგებლო იყოს.

ყოველის მხრივ შევეშველოთ მშრომელთა მასსებს, დავუახლოვდეთ მათ, საბჭოთა მეურნეობის მუშაობაში ჩავაბათ და დავაწინაურეთ ასი და ათასი უპარტიო მუშაკი. ახლანდელის, კრონშტადტის უპარტიოთა ტანისამოსში გამოწყობილი მენშევიკები და ესერები კი ციხეში უნდა შევინახოთ, ან გავგზავნოთ ბერლინის მარტოვთან, რომ იქ თავისუფლად ისარგებლონ სუფთა დემოკრატიის ყოველგვარი მშვენიერებით და თავისუფალი აზრთა მიცემით ჩერნოვთან, მილიუკოვთან და ქართველ მენშევიკებთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ამ მოსაზრებებს მხედველობაში მივიღებთ, მაშინ ჩვენი აზრით, ეს ახალი თეატრი, „კომუნისტური თეატრი" უნდა დაარსდეს თბილისის იმ რაიონში, სადაც ამისთვის შესაფერი მასაც არის. ასეთი რაიონია ჩვენის აზრით მეოთხე რაიონი. სადაც ზლიმათ არის, როგორც მომზადებული მუშა მოსამსახურე, ისე სოციალისტ-ინტელიგენტი. ეს ერთი. მეორე, თავიდან უნდა ავიცილოთ მავნე ის აზრი, რომ მუშურ თეატრისათვის და საერთოთ მუშათა ხელოვნებისათვის თითქო მეტი ზარგი იყოს ის განვითარებული სახელოვნო ტექნიკა არისტოკრატიულ-ბურჟუაზიული ტყრობა, რომელსაც დღემდე მიაღწია კაპიტალისტურმა კულტურამ. უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველისფერს ასეთს კომუნისტური კულტურა პირდაპირ ღებულობს და მას თავის მიზნებისათვის იყენებს. მაშასადამე ჩვენი ახალი თეატრისათვის უნდა მოვიპოვოთ საუკეთესო საზეატრო შენობა. არა ისეთი „ბალაგანი", როგორიც არის დღევანდელი „რევოლიუციონური თეატრი", რომლითაც ერთ დროს თბილისელი ჯაჭვაჯანაშვილები კმაყოფილდებოდნენ და დღეს სომეხ ხელოსნებიც არ იწუნებენ.

არა, ჩვენი მასსა, ჩვეულებრივი მასსაც კი ამ მხრით უფრო გემოვნებით განვითარებულია, ამიტომ იგი ასეთ „ბალაგანში" თავის დღეში არ მოვა.

რაც შეხება რეპერტუარს და მუსიკას, ეს ჩვენ დღეს შესაქმნელი გვაქვს. ამ მხრით ჩვენ დიდ დახმარებას, თითქმის მზა მასალას გვაძლევს რუსული კომუნისტური ლიტერატურა. ჩვენ მხოლოდ დაგვრჩება მისი ჩვენს პირობებთან შეთანხმებით გადმოღება. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს გადმოღებაც თავისებურობის და შემოქმედების ბეჭედ-დასმული უნდა იყოს და არა „შაბლონური". პიესები ჩვენს ცხოვრებასთან და ჩვენებური პარტიული მასის ფსიხოლოგიასთან შეფარდებულ-შეხამებული უნდა იქნეს.

ამ მხრით ჩვენი პოლიგონიც და დ. კობახიძეც მართალი არიან, რომ მათ პირველი ცდისათვის ვერჰარნის პიესა—„რიჟრაჟი" აირჩიეს. ვერჰარნს, როგორც დიდათ ნიჭიერ სოციალისტ პოეტს ჩვენში იცნობენ ზოგი მისი ლექსების თარგმანიდან და ამასთან მისი „რიჟრაჟი" ჩვენებური პარტიული მასისთვის და ბევრ არა პარტიულ სოციალისტ-ინტელიგენტისთვისაც გასაგებ მისაწვდომია. მაყურებელი მიიღებს მას ყოველმხრივ მლიმათ ყუღლებით, თუ ის შესაფერ ალაგას და შესაფერ პირობებში დაიდგმება.

ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ „ახალ დასს", რომელსაც ხელმძღვანელობს დ. კობახიძე და რომელსაც კომუნისტური თეატრის განსახიერება უკისრნია.

სასურველია ეს დასი შეივსოს ნიჭიერი გამოცდილი და დახელოვნებული ძალებით, რომლებიც კი კომუნიზმს ემხრობიან და მაშინ ის სცენის მოყვარეები, რომლებმაც ამ საღამოს ჩვენი ყურადღება მიიქცია, ამ დასში შეუდარებელი და მეტათ სასარგებლო ელემენტები იქნებიან. საკუთარი ძალებით კი ეს დასი, მე მგონია, ვერ შესძლებს იმ დიდი საქმის შესრულებას, რომელიც მას უკისრნია. ამ მხრით ყოველი ზომა უნდა იქნას მიღებული, რომ დასში მონაწილეობა მიიღონ „აკადემიური თეატრის" დასის მსახიობებმაც.

ახალი დასიდან კი ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ თ. ოშვილი და ივერიელი და ზოგი კიდევ სხვა, რომლებიც შესძლებენ ახალ თეატრში საპატიო ადგილი დაიჭირონ. საჭიროა ხოლოთ ვისთვისაც ჯერ არის ამ დასის რეჟისორს შესაფერი დახმარება გაუწიონ, რომ მან შესძლოს ამ დიდი საქმის რიგიანათ მოწყობა. ახლანდელ პირობებში კი, რაც მას გაუკეთებია, ისიც ჩვენში დიდ კმაყოფილებას იწვევს და დიდმნიშვნელოვანია, როგორც უპირველესი კომუნისტური სახელოვნო საქმის დაწყება.

ყოველი დაწყება მეტათ ძნელია, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ მალე ყველა დაბრკოლება დაძლეული იქნება, ზემოთ დასახელებული პირობები დაცული იქნება და მაშინ კომუნისტური თეატრიც აღმართავს ჩვენში თავის წითელ დროშას. რომელზედაც ცეცხლის ასოებით ეწერება: გაუმარჯოს სახელოვნო რევოლიუციას, გაუმარჯოს კომუნისტურ თეატრს!

რაჟდენ კალაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი № 66

საქართველოს სოც. საბ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

შემოსავალ გასავლის აღრიცხვათა წესის შესახებ.

ვიდრე საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის წესით საბიუჯეტო უფლებების დებულება საბოლოოდ შემუშავდებოდეს, რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის შემოსავალ-გასავალი, როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი, გაერთიანებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტად.

2. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული საფინანსო აღრიცხვებისა და სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის რიცხვ-რიგის შედგენისა, განხილვისა, დამტკიცებისა და ასრულების წესი.

3. წესი ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა იმ პირობით, რომ ყოველმა უწყებამ, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ, ხელმძღვანელობა იქონიოს ამ წესით თავისი აღრიცხვების შედგენის დროს—მომავალი საბიუჯეტო პერიოდისათვის, 1922 წლის იანვრის 1-დან დაწყებული.

შენიშვნა: ფინანსთა კომისარი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, შეიმუშავებს ფორმას, რომლის თანახმადაც შედგენილ უნდა იქნეს უწყებათა აღრიცხვანი.

4. მიენდოს ფინანსთა სახალხო კომისარს, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და საბჭოთა იმ ცენტრალურ ორგანოებთან შეთანხმებით, რომლებიც განაგებენ პროდუქტებისა, მასალებისა, საგნებისა და სხვ. წარმოებისა და განაწილების საქმეს, შეიმუშაოს არა უგვიანეს 1922 წ. იანვრის 1-ისა დებულებანი: ა) სახელმწიფო წარმოებათა ფინანსიურად უზრუნველყოფისა და ბ) საბჭოთა დაწესებულებათათვის საანგარიშო ოპერაციების წარმოებისა,—რათა,—მუშათა და გლეხთა მთავრობის საერთო ეკონომიური გეგმის მიხედვით,—მოწესრიგებულ იქნეს საურთიერთო ანგარიშები საბჭოთა დაწესებულებათა, წარმოებათა და ორგანიზაციათა შორის,—როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ.

5. დაევალოს ყოველ უწყებას,—გადაიტანოს სახელმწიფო შემოსავალში, არა უგვიანეს 1922 წლ. იანვ. 15-სა, მის განკარგულებაში დარჩენილი სპეციალურ საშუალებათა, ფონდებისა და კაპიტალების ნაღდი ფული და ყველა ის ხარჯი, რომელიც გაწეული უნდა ყოფილიყო ხაზინაში გადასარიცხი სპეციალურ საშუალებათა, ფონდებისა და კაპიტალებიდან, მოქცეულ იქნეს 1922 წლის სახელმწიფო საერთო ხარჯთა აღრიცხვაში.

6 დაევალოს იმავე უწყებათ გადარიცხოს ხაზინის შემოსავალში, არა უგვიანეს 1922 წლის იანვრის 15-სა ყველა დეპოზიტების თანხები, რომელიც ირიცხება ხაზინის ანგარიშზედ, იმ პირობით, რომ უკეთუ საჭიროება აღმოჩნდება ხაზინაში გადაცემული რომელიმე დეპოზიტის კუთვნილებისამებრ დაბრუნება, იგი დაუბრუნდეს სახელმწიფოს ნაღდი ფონდიდან დეპოზიტის განმკარგულებელი უწყებისა, ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და იუსტიციის კომისარიატების სათანადო დაწესებულებებთან შეთანხმებით.

7. 1922 წლის იანვარ-დეკემბრის შემოსავლის აღრიცხვის შედგენისას სახალხო კომისარიატები და ცენტრალური სამმართველოები ვალდებულნი არიან გაითვალისწინონ და მოათავსონ აღრიცხვაში სახელმწიფო შემოსავალში გადასარიცხი, როგორც სპეციალურ საშუალებათა, ფონდებისა და კაპიტალებისა, ისე დეპოზიტების ნაღდი ფულის თანხები.

შენიშვნა: სარგებლიანი ქაღალდები, რომელიც ირიცხება სპეციალურ საშუალებად, ფონდად, კაპიტალებად და დეპოზიტებად, უნდა გადარიცხულ იქნეს სახალხო ბანკის პორტფელში ცალკე სიით, სადაც უნდა აღნიშნული იყოს სარგებლიანი ქაღალდის სახელწოდება და მისი ნომინალური ღირებულება, მაგრამ შემოსავლის აღრიცხვაში არ უნდა იქნეს გატარებული.

8. უკეთუ რაიმე მიზეზის გამო უწყებათა მიერ მე-5 და 6 მუხლში აღნიშნული თანხები გადარიცხულ არ იქნა და მე 7 მუხლში მოხსენებული სარგებლიანი ქაღალდები არ იქნა გადაცემული,—ამ მუხლებით განსაზღვრულ ვადაზედ, იმ შემთხვევაში მე 5, 6 და 7 მუხლის მოთხოვნილებათა შესრულებისათვის განკარგულებას გასცემს უშუალოდ ფინანსთა კომისარიატი საკასო დაწესებულებათა მიმართ, რომელნიც მოახდენენ დადგენილის წესით გადარიცხვას არა უგვიანეს 1922 წლის თებერვლის 1-სა.

9. დაევალოს კომისარიატებს და სხვა ცენტრალურ სამმართველოებს—წარუდგინონ არა უგვიანეს 1922 წლ. მარტის 1-სა მუშათა და გლეხთა ინსპექციას ასრულებული აღრიცხვები ყველა მათ განკარგულებაში 1921 წლ. თებერვლის 25-დან 1922 წლის იანვრის 1-დე გახსნილი კრედიტებისა და დახარჯული თანხებისა, იმ პირობით, რომ ეს აღრიცხვები, მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ განხილვა შემოწმების შემდეგ, გადაეგზავნოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს არა უგვიანეს ორი კვირისა მიღების დღიდან.

10. ფინანსთა კომისარიატში მიღებული კომისარიატებისა და ცენტრალურ სამმართველოების ასრულებული აღრიცხვები, სათანადო განხილვა შემოწმების შემდეგ, ცალკე საერთო კრებულად აღნუსხული, წარედგინება,—მუშათა და გლეხთა ინსპექციის დასკვნითურთ,—საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტს დასამტკიცებლად არა უგვიანეს ორი კვირისა მიღების დღიდან.

11. თვალყურის დევნება, რათა დეკრეტი ესე საგნებით და უცვლელად იქნეს ასრულებული, მიენდობა ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებს—კუთვნილებისამებრ.

საქ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **ალ. სვანიძე.**

რევოლიუც. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე**

1921 წ., აგვისტოს 10.

ტფილისი—სასახლე.

წესი.

საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის საფინანსო აღრიცხვათა და სახელმწიფო შემოსავალ გასავლის რიცხვ-რიგის შედგენისა, განხილვისა, დამტკიცებისა და ასრულების შესახებ.

1. ზოგადი დებულება.

1. საფინანსო აღრიცხვა და სახელმწიფო შემოსავალ გასავლის რიცხვ-რიგი უნდა შედგენილ იქნეს წლიური პერიოდისათვის—1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე—ამ რიცხვითურთ.

2. აღრიცხვებით და რიცხვ-რიგით უნდა აღინიშნოს იმ პერიოდისათვის გასათვალისწინებელი სახელმწიფო შემოსავალი და გასავალი,—ისე კი, რომ არ იყოს განაწილებული ჩვეულებრივზე და არა ჩვეულებრივზე.

3. ყოველი გადასახადი და შემოსავალი ყველა უწყებისა—გამოუკლებლივ—(მათ შორის გაერთიანებულ წარმოებათა, ხმელეთისა და წყლის ტრანსპორტისა და საგარეო სახალხო კომისარიატის დაწესებულებათა) არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს დატოვებული შესანახად თანამდებობის პირთან და დაწესებულებაში და აგრეთვე არ უნდა ჩაირიცხოს დეპოზიტად და სპეციალურ საშუალებად დაწესებულების ან თანამდებობის პირის საკუთარ ანგარიშზე, არამედ დაუყონებლივ, დაწესებულებაში ან თანამდებობის პირთან შემოსვლისთანავე, (ხოლო სპეციალურ ამკრეფთა კასებიდან განსაზღვრულ ვადაზედ) უნდა გადაეცეს სავსებით ფინანსთა სახალხო კომისარიატის საკასო დაწესებულებას.

შენიშვნა: უწყებას ნება ეძლევა—იქონიოს თავის მიმდინარე ანგარიშზე მხოლოდ ის თანხა, რომელიც მიუღია მას ავანსად მოქმედი ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად ამ ხარჯთაღრიცხვის ძალაში შესვლის დღიდან—დახურვამდე. კრედიტების მოქმედების ვადის მოთავებასთან ერთად—დახურულ უნდა იქნეს უწყების ის ანგარიშებიც, რომელნიც ამ კრედიტისაგან წარმოსდგარა.

2. აღრიცხვის შედგენის რიგი.

4. სახელმწიფო შემოსავალ გასავლის აღრიცხვას შეადგენენ სახალხო კომისარიატები და სხვა ცენტრალური სამმართველოები, ხოლო ამ აღრიცხვების მასალად ჩაითვლება ის ხარჯთაღრიცხვები და ცნობები, რასაც წარმოადგენენ სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალური სამმართველოების სათანადო ადგილობრივი დაწესებულებანი და აგრეთვე კომისარიატებისა და სხვა ცენტრალური სამმართველოთა მოსაზრებანი.

5. საფინანსო აღრიცხვა და სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის რიცხვრიგი შესდგება ორი დამოუკიდებელი ნაწილისაგან: ა) შემოსავალი და გასავალი პირდაპირი და ბ) შემოსავალი და გასავალი სატრიალებელი.

6 აღრიცხვისა და რიცხვ-რიგის პირველ ნაწილში გათვალისწინებულ უნდა იქნეს **შემოსავლად**—ხაზინის პირდაპირი შემოსავალი, ფულის ნიშნებით შეტანილი, ან კერძო ორგანიზაციებისა და პირების მიმდინარე ანგარიშებიდან გადარიცხული თანხები, ხოლო **გასავლად**—სახელმწიფო თანხიდან პირდაპირ, კასების საშუალებით, გაცემული ფული, ან კერძო ორგანიზაციებისა და პირებისათვის საკასო დაწესებულებაში გახსნილ მიმდინარე ანგარიშზედ გადარიცხული თანხები.

7. აღრიცხვის და რიცხვ-რიგის მეორე (სატრიალებელ) ნაწილში აღინუსხება **შემოსავლად**—ღირებულება მასალებისა, საგნებისა, ნაწარმოებთა პროდუქტებისა, რომელსაც მიაწვდიან და ყოველგვარი სამსახურისა, რომელსაც გაუწევენ საბჭოთა რესპუბლიკის დაწესებულებანი და წარმოებანი,—როგორც მწარმოებელი და განმანაწილებელი ორგანოები,—საბჭოთა სხვა დაწესებულებათა და წარმოებათ, და **გასავლად**—ღირებულება მასალებისა, საგნებისა, ნაწარმოებთა, პროდუქტებისა, რომელსაც მიიღებენ საბჭოთა დაწესებულებანი და წარმოებანი, როგორც მომხმარებელნი, საბჭოთა სხვა დაწესებულებათა და წარმოებათაგან, და ყოველგვარი სამსახურისა, რომელსაც უკანასკნელნი გაუწევენ პირველთ.

შენიშვნა 1: უკიდურეს შემთხვევაში, როცა აუცილებელ საჭიროებად ცნობილ იქნება პირდაპირი ფულის გაცემა იმ კრედიტების ანგარიშში, რაც გათვალისწინებულია სატრიალებელ ასიგნობათა ნაწილში, უწყებათ უფლება ეძლევათ გადაიტანონ სატრიალებლიდან პირდაპირ კრედიტში სატრიალებელ ასიგნებათა 25 პროც. არა უმეტესი—აღრიცხვის თვითეულ პარაგრაფისათვის; ხოლო სატრიალებელი კრედიტების პირდაპირ კრედიტებში გადატანა თვითეული პარაგრაფის სატრიალებელი ასიგნობის 25 პროც.-ზედ უმეტესისა შესაძლებელია მხოლოდ უწყების შეთანხმებით ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატებთან.

შენიშვნა 2: საუწყებათაშორისო საბიუჯეტო თათბირის მოთხოვნილებით მთავარი სახალხო მეურნეობის საბჭოს ყოველი მთავარი სამმართველო, ცენტრი და განყოფილება და აგრეთვე საბჭოთა სხვა მწარმოებელი და განმანაწილებელი ორგანო ვალდებულია გაუგზავნოს მას ცნობები თავის წარმოებათა ნაწარმოებისა და გასანაწილებელი პროდუქტებისა და საგნების არსებული რაოდენობისა და სახარჯთაღრიცხვო პერიოდში მოსალოდნელ შემოსავლისა და გასავლის შესახებ.

შენიშვნა 3: მწარმოებელი და განმანაწილებელი უწყებანი და დაწესებულებანი ვალდებულნი არიან წარადგინონ, ხარჯთაღრიცხვათა განსაკუთრებული დანართის სახით, თავისი მოსაზრებანი იმ ფასების შესახებ, რა ფასადაც ისინი აპირებენ თავიანთ ნაწარმოების ან გასანაწილებელი მასალების, საგნების, პროდუქტების და სხვ. გაცემას.

8. აღრიცხვისა და შემოსავლის და გასავლის რიცხვ-რიგის ორივე ნაწილი შედგენილ უნდა იქნეს შემოღებული კლასიფიკაციის თანახმად. ამ კლასიფიკაციაში საჭირო ცვლილების შეტანა შეიძლება სათანადო სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალურ სამმართველოთა შეთანხმებით—ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებსა და მთავარ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან.

9. იმ შემთხვევაში, თუ უწყებას მეტად გაუძნელდება სატრიალებელი შემოსავლის და გასავლის თანხების გამორკვევა მუშაობის პირველ ხანში, ე. ი. წინასწარი საუწყებათაშორისო საალრიცხვო თათბირის მიერ აღრიცხვის განხილვამდე (მუხ. 15), აღრიცხვის პროექტი შეიძლება შედგენილ იქნეს ისე, რომ შემოსავალი და გასავალი არ იყოს განაწილებული პირდაპირსა და სატრიალებელზე, იმ პირობით კი, რომ ამგვარი განაწილება მოხდეს ხარჯთ-აღრიცხვის საუწყებათაშორისო საბიუჯეტო თათბირში (მუხ. 17) წარდგენის დღემდე.

10, უკეთუ არსებითად ერთგვარი შემოსავალი და გასავალი, რომელიც მოთავსებულია ერთსა და იმავე საალრიცხვო განყოფილებაში, უნდა შეტანილ იქნას აღრიცხვის ორივე ნაწილში, ე. ი. პირდაპირსა და სატრიალებელ შემოსავალსა და გასავალში, იმ შემთხვევაში აღრიცხვისა და რიცხვ-რიგის ორივე ნაწილში უნდა იქნეს მოყვანილი ერთი და იგივე საალრიცხვო განყოფილება, ამა თუ იმ შემოსავლისა და გასავლის შესაბამი, ერთსა და იმავე ნომრის, განყოფილების, თავის, პარაგრაფის, მუხლის და ლიტერის აღნიშვნით.

11. შემოსავალ გასავლის აღრიცხვის შედგენის დროს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება იმას, რომ აღრიცხვა გადამეტებით არ იყოს ნავარაუდევი. ამ მიზნის მისაღწევად უწყებას დაევალება შემოსავალ გასავლის ჯამის გამოსარკვევად იხელმძღვანელოს საბჭოთა ბიუჯეტის მოქმედების წინა წლის ნამდვილი შემოსავალ-გასავალი, რისთვისაც ცნობებს შემოსავლისა და გასავლის შესახებ შეჰკრებს თავის ქვემდებარე დაწესებულებათაგან და ამოიღებს ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატების საანგარიშო ფურცლებიდან.

12. ნავარაუდევის გამართლება უნდა განმარტებულ იქნეს მოკლედ, მაგრამ ისე კი, რომ ადვილად შეიძლებოდეს გამორკვევა, თუ რამდენად სისწორით არის ნაანგარიშევი აღრიცხვაში შეტანილი თანხები,

13. აღრიცხვას დაერთვის განმარტებითი წერილი, სადაც შემოსავლის შესახებ უნდა მოთავსებულ იქნეს ახსნა განმარტება აღრიცხვის წესრიგისა და გასავლის შესახებ უნდა მოხსენებულ იქნეს ის დასაბუთება, რომელიც ამართლებს გამოთხოვილი კრედიტების კანონიერობას, მიზანშეწონილობას და რაოდენობას.

14. უწყებანი ხელს მიჰყოფენ ხარჯთა-აღრიცხვის შედგენის დროის ისეთ გამოანგარიშებით, რომ პროექტები თათბირის მიერ განხილულ იქნეს (მუხ. 15) მე-16 მუხლში ნაჩვენებ ვადაზე.

3. აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.

15. აღრიცხვის პროექტი, დამზადებისთანავე შეტანილ უნდა იქნეს წინასწარ განსახილველად ყოველ უწყებასთან დაწესებულ განსაკუთრებულ თათბირში, ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატების და მთავარი სახალხო მეურნეობის საბჭოს წარმომადგენლების მონაწილეობით. აღრიცხვის პროექტი უნდა გადაეცეს თათბირის მონაწილეთ ხუთი დღით ადრე პროექტის თათბირში განხილვამდე.

16. წინა მუხლში აღნიშნული თათბირი აღრიცხვის განხილვას უნდა შეუდგეს იმ ანგარიშით, რომ მის მიერ უკვე განხილული აღრიცხვის ფინანსთა კომისარიატში წარდგენა შესაძლებელი იქნეს: ა) სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი და სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარიატისა საბიუჯეტო წლის წინა წლის დეკემბრის 20-ვს და ბ) დანარჩენი კომისარიატებისა და დაწესებულებათა—დეკემბრის 10-ს.

17 წინასწარი თათბირის მიერ (მუხ. 16) განხილული და შესწორებული აღრიცხვა და აგრეთვე მის შესახებ გამოთქმული სხვადასხვა აზრი შეტანილ უნდა იქნეს საბოლოო განსახილველად და გადასაწყვეტად ფინანსთა კომისარიატთან დაწესებულ განსაკუთრებულ საუწყებათაშორისო საბიუჯეტო თათბირში, სადაც მონაწილეობას მიიღებენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატისა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი და აგრეთვე აღრიცხვის შემდგენი დაწესებულების წარმომადგენელნი.

18 წინა მუხლში აღნიშნულ საბიუჯეტო თათბირში შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა შეტანილ უნდა იქნეს უწყების მიერ ოთხ ეგზემპლარად, განმარტებითი წერილით, შემოსავალ-გასავლის საერთო ნუსხებით და დანართებითურთ. თათბირმა იგი უნდა განიხილოს ერთ თვეზე არა უგვიანეს.

19. საბიუჯეტო თათბირის მიერ აღრიცხვების საბოლოოდ განხილვისა (მუხ. 17 და 18) და თათბირისავე დადგენილების თანახმად გასწორების შემდეგ, სათანადო უწყებანი წარადგენენ აღრიცხვებს შვიდი დღის განმავლობაში საქართ. სოც. საბ. რესპ. რევოლიუციონურ კომიტეტში და იმავე დროს გაუგზავნიან ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებს აღრიცხვის ეგზემპლიარების საჭირო რაოდენობას.

20. აღრიცხვებისაგან (მუხ. 19) ფინანსთა სახალხო კომისარიატი შეადგენს სახელმწიფო შემოსავლის და გასავლის რიცხვ რიგს, რომელსაც დაურთავს განმარტებითი წერილს და წარუდგენს რევოლიუციონურ კომიტეტს ერთი თვის განმავლობაში დღიდან აღრიცხვების უწყებათაგან მიღებისა (მუხ. 19); ამავე დროს რიცხვ-რიგის ასლს გაუგზავნის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს.

21. საბიუჯეტო თათბირის მიერ გადაუწყვეტლად დატოვებული ყოველი შეუთანხმებლობა ხარჯთ-აღრიცხვების შესახებ წარედგინება რევოლიუციონურ კომიტეტს განსახილველად რიცხვ რიგის წარდგენასთან ერთად; ხოლო თუ შეუთანხმოება შეეხება ამა თუ იმ საალრიცხვო დანიშნულების რაოდენობას, იმ შემთხვევაში რიცხვ რიგში შეტანილ უნდა იქნეს უმცირესი შემოსავლად ან ხარჯად ნავარაუდევი თანხა.

4. აღრიცხვების და რიცხვ-რიგის ასრულება.

22. აღრიცხვის საბიუჯეტო თათბირში შეტანისთანავე (მუხ. 17) უწყებანი უგზავნიან საბიუჯეტო საანგარიშო სამმართველოს საბიუჯეტო-საბუხჰალტერო განყოფილებას შემოსავლის და გასავლის საკასო განრიგებათ—თითოს სამ ეგზემპლიარად.

შენიშვნა: აღრიცხვით დანიშნული კრედიტები უნდა განაწილდეს საანგარიშო და საალრიცხვო საკასო დაწესებულებათა შორის, რაც შეიძლება ზედმიწევნითი შეთანხმებით ადგილობრივ კრედიტების ნამდვილ მოთხოვნილებასთან. ამ მიზნით, ჯერ კიდევ ხარჯთ აღრიცხვის შედგენის დროს, უწყებანი დაამზადებენ აღრიცხვების განსაკუთრებულ დანართებს, რომლებშიაც მთავარი საალრიცხვო განყოფილებათა (პარაგრაფების) დანიშნულებანი განაწილებულ უნდა იქნეს მაზრებ შორის; ეს დანართები განხილულ უნდა იქნეს საალრიცხვო თათბირებში განსაკუთრებულის ყურადღებით და საფუძვლად უნდა დაედვას სახარჯო-საკასო განრიგებების შედგენას.

23. კერძო შემოსავალ-გასავლის განრიგებასთან ერთად საბიუჯეტო საანგარიშო სამმართველოს საბიუჯეტო-საბუხჰალტერო განყოფილებას ეგზავნება საერთო განრიგებანი, რომელიც შეიცავს საბიუჯეტო წლის იანვარ-დეკემბრის საჭირო დანიშნულებას.

24. საკასო განრიგებაში უნდა დაცულ იქნეს §-ების, მუხლების და ლიტერების ნომენკლატურა, ხოლო ციფრების მიხედვით განრიგებათა შეერთებული ჯამი უნდა სავსებით უდრიდეს საბიუჯეტო თათბირისათვის წარდგენილ აღრიცხვებში აღნიშნულ თანხებს.

25. საბიუჯეტო თათბირში განხილვისთანავე—დაუყოვნებლივ—საკასო განრიგებანი, თუ საჭიროება მოითხოვს, უნდა შესწორებულ იქნეს საბიუჯეტო-საანგარიშო სამმართველოს საბიუჯეტო საბუხჰალტერო განყოფილების მიერ, სათანადო უწყებათა წარმომადგენლებთან ერთად, საბიუჯეტო თათბირის დადგენილების თანახმად და ამის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა დაეგზავნოს ასასრულებლად სათანადო საკასო დაწესებულებას, ხოლო იმ თანხებიდან, რის თაობაზედაც თათბირში შეთანხმება არ მოხდა, საკასო დაწესებულებათათვის გასაგზავნ განრიგებაში შეტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ის ნაწილი, რომლის შესახებაც მოხდა შეთანხმება, იმ პირობით კი, რომ, თუ გამოთხოვნილი თანხები სავსებით ნებადართულ იქნა, მათი გაუნაწილებელი ნაწილისათვის შედგენილ იქნეს დამატებითი განრიგება.

26 გასწორებულ და დაგზავნილ განრიგებათა მეორე ეგზემპლიარები საბიუჯეტო-საანგარიშო სამმართველოს საბიუჯეტო საბუხჰალტერო განყოფილების მიერ უნდა გაეგზავნოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს სამი კვირის განმავლობაში რიცხვ-რიგის დამტკიცების შემდეგ.

27. სატრიალებელი შემოსავალ-გასავლის საკასო განრიგება შედგენილ უნდა იქნეს მხოლოდ ცენტრალურ შემოსავალ-გასავლის კასისათვის; ამასთანავე კრედიტები უნდა დარჩეს სახალხო კომისარიატებისა და სხვა ცენტრალურ დაწესებულებათა განკარგულებაში—კუთვნილებისამებრ.

28. ყოველთვიურად, ცენტრალურ უწყებათა მიერ დადგენილ ვადაზედ, ყოველი ადგილობრივი დაწესებულება და წარმოება უგზავნის თავის ცენტრალურ ორგანოს ცნობებს მათ და მათ ქვემდებარე ორგანოთა მიერ სხვა სახელმწიფო დაწესებულებისა და წარმოებისათვის საანგარიშო თვის განმავლობაში, გაცემული ნედლი საქონლისა, სათბობისა, მასალებისა, ნაწარმოებისა, სასურსათო პროდუქტებისა, ფურაჟისა და სახაზინო გამოცემათა შესახებ,—გაცემული საგნების ფულად ღირებულობის აღნიშვნით; სატრანსპორტო დაწესებულებანი კი წარადგენენ გადაზიდვის ანგარიშებს.

29. წინა მუხლში მოხსენებულ ცნობათა და ანგარიშთა შემოწმების შემდეგ, არა უგვიანეს ერთი თვისა დღიდან მათი მიღებისა, ცენტრალური დაწესებულებანი გასცემენ გადასარიცხავი ასიგნობანით (ან ჩეკებით) განკარგულებას საბიუჯეტო საანგარიშო სამმართველოს ცენტრალურ შემოსავალ-გასავლის კასისადმი, რათა გადარიცხულ იქნეს ხვედრი თანხები მათი (ცენტრალურ დაწესებულებათა) კრედიტებიდან სახელმწიფო შემოსავალში იმ უწყებათა სათანადო საშემოსავლო მუხლში, რომელსაც ფული ერგება. ამ წესითვე მოხდება ანგარიშების გასწორება ცენტრალურ დაწესებულებათა შორის.

შენიშვნა: ინსტრუქციები ცნობების, ანგარიშების და დოკუმენტების (მუხ. 28) შემოწმებისა, ანგარიშების გასწორებისა (მუხ. 29) და უწყებათა შორის მომხდარ შეუთანხმებლობის გადაწყვეტის შესახებ უნდა შემუშავებულ იქნეს ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ, მუშათა და გლეხთა ინსპექციის შეთანხმებით, და წარედგინოს საქ. სოც. რესპ. რევოლიუციონურ კომიტეტს დასამტკიცებლად.

30. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს კრედიტიდან ხარჯები გაიცემა—სახელმწიფო წარმოებათა ფინანსიურად უზრუნველყოფის შესახებ გამოცემული განსაკუთრებული დეკრეტისამებრ და თანახმად ამა წესისა.

31. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო უგზავნის საბიუჯეტო-საანგარიშო სამმართველოს საბიუჯეტო საბუხჰალტერო განყოფილებას ცნობას, თუ მის განყოფილებათ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმოებათათვის ავანსის მისაცემათ რამოდენი საშუალება დაენიშნა და აგრეთვე ცნობას საავანსო კრედიტების თაობაზე, რომელიც უნდა გახსნას განყოფილებათ, მთავარ სამმართველოებს და ცენტრებს მათი საკუთარი საოპერაციო და საწარმოვო საჭიროებისათვის.

32. განყოფილებანი, მთავარი სამმართველონი და ცენტრები, რომლების განკარგულებაშიაც გადადებულია კრედიტი, უგზავნიან საბიუჯეტო საანგარიშო სამმართველოს საბიუჯეტო საბუხჰალტერო განყოფილებას ცნობას ამ კრედიტის განაწილების შესახებ: ა) შეერთებულ ან მათთვის უშუალო გამგებლობისათვის გადაცემულ წარმოებათა, ან მათ ადგილობრივ ორგანოთა შორის და ბ) სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს განყოფილებათა შორის. იმავე დროს ზემოხსენებული კრედიტების განმკარგულებელნი აცნობებენ საბიუჯეტო საანგარიშო სამმართველოს საბიუჯეტო-საბუხჰალტერო განყოფილებას თავიანთ ქვემდებარე წარმოებათა საწარმოო გეგმას.

33. 31—32 მუხლებში აღნიშნული ცნობების მიღების შემდეგ, საბიუჯეტო საანგარიშო სამმართველოს საბიუჯეტო-საბუხჰალტერო განყოფილება გასცემს განკარგულებას საანგარიშო და საალრიცხვო-საკასო დაწესებულებათადმი სათანადო კრედიტების (ანგარიშები) გახსნის შესახებ. საწარმოო განყოფილებათ, მთავარ სამმართველოებს და ცენტრებს ანგარიშები გაეხსნება ცენტრალურ შემოსავალი გასავლის კასაში ან მის ფილიალებში; გაერთიანებულ ან განყოფილება [illegible] და [illegible] კომიტეტების თვის უშუალო გამგებლობისათვის გადაცემულ წარმოებათ—იმ დაწესებულებაში, რომელსაც დაუნიშნენ განყოფილებანი კრედიტის განკარგულებელთა და ადგილობრივ სახალხო მეურნეობის საბჭოებს—ფინანსთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივ საანგარიშო და საალრიცხვო საკასო დაწესებულებაში.

34. წინა მუხლში აღნიშნული განკარგულების საფუძვლით საანგარიშო და საალრიცხვო საკასო დაწესებულებანი გაუხსნიან სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცალკე დაწესებულებათ განსაკუთრებულ ანგარიშებს რიცხვ რიგის ყოველი განყოფილებისათვის და წარმოებისა და დაწესებულების აღრიცხვის ყოველი მუხლისათვის. ეს ანგარიშები დანიშნულია მხოლოდ ხარჯების წარმოებისათვის და შიგ სხვა თანხების ჩარიცხვა, გარდა კრედიტის აღსადგენად შეტანილისა, არ შეიძლება.

შენიშვნა: ამ აღრიცხვების ანგარიშში გაცემული თანხების ჩასაწერად საბიუჯეტო საანგარიშო სამმართველოს წიგნებში და ბალანსის აქტივში უნდა გაიხსნას „სახელმწიფო წარმოებათა ხარჯების ანგარიში"—სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს განყოფილებათა, მთავარ სამმართველოთა და ცენტრთა შორის ხარჯების განაწილების აღნიშვნით.

35. ხსენებულ ანგარიშებს (მუხ. 34) სარგებლობენ ჩეკების საშუალებით. ჩეკების ტექსტში უნდა იყოს ნაჩვენები—რიცხვ რიგის რომელი განყოფილებიდან და აღრიცხვის რომელი მუხლიდან უნდა მოხდეს ფულის გაცემა; იმ პირების გვარი, რომლებსაც მინდობილი აქვს ჩეკის ხელმოწერა, და მათი ხელმონაწერის ნიმუში უნდა ეცნობოს საკასო დაწესებულებას უახლოეს უმაღლეს განმკარგულებლის მიერ (ადგილობრივი სახალხო მეურნეობის საბჭოს ან საწარმოო განყოფილებების მიერ, ხოლო, თუ ანგარიში გახსნილია მთავარი სამმართველოთა, ცენტრების და განყოფილებათა სახელზე,—სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის მიერ). საანგარიშო და საალრიცხვო საკასო დაწესებულებანი აღებენ ჩეკებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხარჯი შეეფერება რიცხვ-რიგის და აღრიცხვის იმ განყოფილების დანიშნულების საგანს, რომელსაც მიეწერება ის ხარჯი.

36. თუ ხარჯთაღრიცხვის რომელიმე განყოფილებით დანიშნული კრედიტი ამოიწურა, იმ ნაწილში მისი სარგებლობა უნდა შესწყდეს. ხოლო წარმოებას უფლება აქვს კრედიტის უახლოესი უმაღლესი განმკარგულებლის ნებადართვით გამოსწეროს ჩეკი გაუთვალისწინებელი ხარჯების მუხლიდან.

37. ფინანსთა სახალხო კომისარიატის საანგარიშო და საალრიცხვო-საკასო დაწესებულებათ უფლება აქვთ, ფულის ნიშნების ხარჯვას შესამცირებლად, მისთხოვონ წარმოებათა და დაწესებულებათ, რომლებსაც გახსნილი აქვთ ანგარიშები, იმის დამადასტურებელი ცნობები საკასო დაწესებულების მიერ არ იქნა დამაკმაყოფილებლად ცნობილი, იგი, თუმცა არ შეაჩერებს ფულის გაცემას, მაგრამ ამასთანავე აცნობებს მუშათა და გლეხთა ინსპექციის ადგილობრივ ორგანოს და კრედიტი უახლოეს უმაღლეს განმკარგულებელს, რომ მის მიერ შემჩნეულია ანგარიშის მოსარგებლე დაწესებულების კასაში უნაყოფოდ მოგროვება ფულისა და შედეგს ამა მიმართვისას აცნობებს საბიუჯეტო-საანგარიშო სამმართველოს.

38, ცალკე წარმოებათათვის აღრიცხვის ანგარიშში ავანსად გახსნილი კრედიტები უნდა დახურულ იქნეს საანგარიშო და საალრიცხვო საკასო დაწესებულების მიერ აღრიცხვით კრედიტების გახსნისთანავე; ხოლო საავანსო კრედიტიდან გაწეული ხარჯები უნდა გადატანილ იქნეს ხარჯთაღრიცხვით გახსნილ კრედიტების ანგარიშზედ; დაუხარჯავი ნაწილი საავანსო კრედიტისა უნდა აღდგენილ იქნეს კუთვნილებისამებრ—დაუყონებლივ,—აღრიცხვის თანახმად, კრედიტის გახსნის შესახებ ცნობის მიღებისთანავე.

39. საწარმოო განყოფილებათა მთავარი სამმართველოებისა და ცენტრების წარმოებათა ყოველი შემოსავალი უნდა ჩარიცხულ იქნეს საანგარიშო და საალრიცხვო საკასო დაწესებულების მიერ, ამა წესის მესამე მუხლის თანახმად, სახელმწიფო შემოსავალში.

40. თანხების გაცემა წინა მუხლში აღნიშნულ შემოსავლიდან აკრძალულია.

41. ყოველი თვის დამლევს, არა უგვიანეს შემდეგი თვის 10 რიცხვისა, საანგარიშო და საალრიცხვო საკასო დაწესებულებანი უგზავნიან კრედიტის უახლოეს უმაღლეს განმკარგულებელს და—საბიუჯეტო საანგარიშო სამმართველოს საშუალებით—სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, საფინანსო-საანგარიშო განყოფილებას—დაწვრილებითი ამონაწერს თანხებისას, როგორც საქტივო, ისე საპასივო ანგარიშებიდან.

42 ყოველთვიურად, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის ათი რიცხვისა, წარმოებანი უგზავნიან საანგარიშო და საალრიცხვო-საკასო დაწესებულებებს ასლს იმ ცნობებისა, რომლებსაც ისინი (წარმოებები) წარუდგენენ განმარიგებელ ორგანოებს, მათ მიერ გამოშვებული პროდუქტებისა და წარმოების რაოდენობისა და ღირებულების შესახებ. ეს ცნობები საანგარიშო და საალრიცხვო საკასო დაწესებულებამ უნდა შეიტანოს სათანადო წარმოებისა საწარმოო პირად ანგარიშში.

შენიშვნა: გაერთიანებული წარმოებანი არ უგზავნიან საკასო დაწესებულებათ ცალკე ცნობას დამზადებული პროდუქტების შესახებ, ხოლო წარუდგენენ თავიანთ მთავარ სამმართველოს რომელიც ამ ცნობებს უგზავნიან სათანადო საანგარიშო და საალრიცხვო საკასო დაწესებულებას.

43. არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 20 რიცხვისა საანგარიშო და საალრიცხვო საკასო დაწესებულებანი წარადგენენ—საბიუჯეტო-საანგარიშო სამმართველოს საშუალებით—სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საფინანსო-საანგარიშო განყოფილებაში წინა მუხლში აღნიშნული ანგარიშების ამონაწერებს.

44. აღრიცხვათა და რიცხვ-რიგით გახსნილი კრედიტები უნდა იქნეს დახარჯული მხოლოდ მათი დანიშნულებისამებრ. არც ერთ დაწესებულებას ან თანამდებობის პირს არა აქვს უფლება თავისი ნებით შესცვალოს კრედიტების დანიშნულება ან გადაიტანოს მათზე რაიმე ახალი ხარჯი, რომელიც არ იყო გათვალისწინებული აღრიცხვის დამტკიცების დროს, გარდა შემდეგ მუხლში აღნიშნულ გამონაკლისისა.

45. კრედიტის გადატან-გადმოტანა პარაგრაფ. ფარგლებში უნდა მოხდეს სათანადო სახალხო კომისრის განკარგულებით, რის შესახებ იმავე დროს უნდა ეცნობოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

46 ყოველ უწყებას და დაწესებულებას განსაკუთრებულ მოვალეობად ჩაეთვლება უდიდესი სიფრთხილითა და მომჭირნეობით მოეპყრას რესპუბლიკის სახალხო საშუალებათა ხარჯვას. ამ მიზნის მისაღწევად ნებადართულია აღრიცხვებში და რიცხვ რიგში შეტანილ იქნეს მხოლოდ ისეთი კრედიტები, რაც საჭიროა აუცილებლად მარტოოდენ პირველ რიგში განსახორციელებელ ღონისძიებათა და განზრახულებათათვის, რომელთა მეორე სახარჯთ-აღრიცხვო პერიოდამდე გადადება სრულიად მოუხერხებელია და რომლებიც არა მარტო ფაქტიურად არის განსახორციელებელი საბიუჯეტო წლის განმავლობაში, არამედ საიმათო ხარჯები გაწეულ უნდა იქნეს იმავე წელს,

47. არავითარი ახალი ხარჯი,—აღრიცხვით გაუთვალისწინებელი, არ შეიძლება გაწეულ იქნეს, თუ სამისოდ გამოთხოვნილი არ არის აღრიცხვის ზედმეტი კრედიტი.

48. აღრიცხვებისა და რიცხვ რიგის მოქმედება უნდა შეწყდეს საბიუჯეტო წლის დეკემბრის 31-ს. იმ დღესვე დაიხურება ყველა ამ აღრიცხვებით და რიცხვ-რიგით გახსნილი კრედიტები იმ რაოდენობისა, რაც დაუხარჯავი აღმოჩნდება საანგარიშო და საალრიცხვო საკასო დაწესებულებაში. დაიხურება აგრეთვე უწყებათა, დაწესებულებათა, წარმოებათა და თანამდებობის პირთა ყოველი მიმდინარე ანგარიში, რომელშიაც ჩარიცხული იყო საბიუჯეტო წლის საალრიცხვო ასიგნობანი. არავითარი საშეღავათო ვადა კრედიტის მოქმედებისათვის არ შეიძლება ნებადართულ იქნეს, გარდა საამშენებლო და კრედიტორთა სიით განგრძობილი კრედიტების ვადისა. უკანასკნელი კრედიტების ორივე კატეგორია დაიხურება საბიუჯეტო წლის მომდევნო ივნისის 30-ს, რის შემდეგაც საამშენებლო კრედიტთა მოქმედების ვადის განგრძობა კრედიტორების სიით აკრძალულია.

შენიშვნა: საამშენებლო კრედიტად უნდა ჩაითვალოს ის კრედიტი, თუ ამის შესახებ გადაჭრით არის ნათქვამი აღრიცხვაში ან ხარჯთა განრიგებაში.

49. ხაზინის კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად ხვედრი თანხით კრედიტების განმკარგულებელნი შეადგენენ კრედიტორთა სიებს, რომელშიაც სისწორით აღნიშნენ კრედიტორს, აღრიცხვის განყოფილებას, ხარჯის საგანს და ყოველი კრედიტორის ხვედრი თანხის რაოდენობას. ეს სიები ეგზავნება კრედიტების განმკარგულებელი ცენტრალური დაწესებულების მიერ საბიუჯეტო-საბუხჰალტერო სამმართველოს საბიუჯეტო-საანგარიშო განყოფილებას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას, ხოლო ადგილობრივ განმკარგულებელთა მიერ—ადგილობრივ საფინანსო განყოფილებათა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ადგილობრივ დაწესებულებათ არა უგვიანეს საბიუჯეტო წლის დეკემბრის 31-სა.

50. მომქმედი აღრიცხვის ანგარიშით ავანსების გაცემა შესწყდება ნახევარი თვით ადრე, ვიდრე შესწყდებოდეს აღრიცხვის მოქმედება, ხოლო ავანსის ნაშთები უნდა შეტანილ იქნეს კრედიტის აღსადგენად არა უგვიანეს საბიუჯეტო წლის დეკემბრის 31-სა საამშენებლო კრედიტის ავანსის ნაშთი კი—საბიუჯეტო წლის მომდევნო ივნისის 30-სა

51. საბოლოო წლიური ხარჯთა განრიგების დაგზავნამდე,—ხარჯების დასაფარავად საჭირო კრედიტის ასიგნობა გაეცემა ცენტრალურ შემოსავალ-გასავლის კასისა და ადგილობრივი საფინანსო განყოფილებათათვის გაგზავნილი დროებითი ხარჯთა განრიგებების თანახმად.

52. დროებითი ხარჯთა განრიგებანი შედგენილ უნდა იქნეს ყოველი აღრიცხვისათვის ცალ-ცალკე სახალხო კომისარიატებისა და ცენტრალურ დაწესებულებათა მიერ, რომელთაც აქვთ დამოუკიდებელი საფინანსო აღრიცხვა,—ოთხი თვისათვის—(საბიუჯეტო წლის იანვარ-აპრილისთვის), ისე-კი რომ კრედიტები არ უნდა იქნეს განაწილებული თითო თვისათვის ცალკე.

53 საბიუჯეტო წლის იანვარ-აპრილის დროებითი ხარჯთა განრიგებას საფუძვლად უნდა დაედოს ყოველი პარაგრაფისათვის საბიუჯეტო წლის წინა წლის სექტემბერ-დეკემბრის კრედიტის საალრიცხვო დანიშნულებანი, რომელთაც უნდა მიემატოს დროებითი განრიგების შედგენამდე აღრიცხვის გარეშე გახსნილი კრედიტების რაოდენობა.

54. თუ ამ წესით აღრიცხულ დანიშნულება უწყება არა სცნობს საკმარისად, მას შეუძლიან გაადიდოს იგი 25 პროცენტითი თავისვე გადაწყვეტილებით; 50 პროცენტით—უწყების შეთანხმებით ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის კომისარიატებთან და 50 პროცენტით ზედ მეტად—რევოლიუციონური კომიტეტის ნებართვით. ხოლო წინასწარ—უწყებამ უნდა მიმართოს ამის შესახებ ფინანსთა და მუშათა და გლეხთა სახალხო კომისარიატებს.

დროებითი ხარჯთა განრიგებანი უწყებათა მიერ ეგზავნება საბიუჯეტო საანგარიშო სამმართველოს საბიუჯეტო-საბუხჰალტერო განყოფილებას—თვითეული ოთხ-ოთხ ეგზემპლიარად ამ რიცხვში—ორს—უკანასკნელი, თავის მხრით უშუალოდ უგზავნის მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

5. აღრიცხვის ზედმეტი კრედიტები.

55. აღრიცხვათა ზედმეტი—რიცხვ-რიგის დამატებითი—კრედიტები გაიხსნება იმ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რომელთათვისაც რიცხვ-რიგით გახსნილი კრედიტები საკმარისი არ აღმოჩნდება, და აგრეთვე რიცხვ რიგით გაუთვალისწინებელ იმ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, რისი გადადებაც მომავალ აღრიცხვამდე შეუძლებელია საქმის უვნებლად.

56. შუამდგომლობა აღრიცხვის ზედმეტი კრედიტის გახსნის შესახებ უნდა შეიცავდეს, გარდა კრედიტის საჭიროების აუცილებლობის საბუთებისა, აგრეთვე ცნობას, თუ აღრიცხვის რომელ განყოფილებაში უნდა იქნეს შეტანილი გამოთხოვნილი დამატებითი კრედიტი.

შენიშვნა: უკეთუ კრედიტი თავისი დანიშნულებით არ შეესაბამება არც ერთ საალრიცხვო განყოფილებას, იმ შემთხვევაში იგი უნდა შეტანილ იქნეს განსაკუთრებულ პარაგრაფად.

57. აღრიცხვის ზედმეტი კრედიტის გამოთხოვნისათვის სავალდებულოა—ნაჩვენები იყოს ის წყარო, საიდანაც უნდა იქნეს იგი (კრედიტი) ანასიგნი.

58. აღრიცხვის ზედმეტი კრედიტის გახსნა შეიძლება სამ წყაროდან: ა) სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ნაციონალიზაცია ქმნილ წარმოებათა და საოპერაციო ხარჯების დასაფარავ ფონდიდან, ბ) აღრიცხვათა და რიცხვ-რიგით დაზოგვილი თანხებიდან და ხაზინის ნაღდ საშუალებიდან (მუხ. 58, პ. 2 და 3) აღრიცხვის ზედმეტი კრედიტი გამოთხოვილ უნდა იქნეს რევოლიუციონური კომიტეტისაგან. უწყებანი, რომელიც აღძრენ აღრიცხვის ზედმეტ კრედიტის გახსნის შუამდგომლობას, ვალდებულნი არიან დაურთონ თავის შუამდგომლობას ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატების წერილობითი დასკვნა. უკეთუ შუამდგომლობა განსაკუთრებულად რთულია, ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატებს უფლება აქვთ, წერილობითი დასკვნის მაგიერ, მოითხოვონ მოწვევა საუწყებათაშორისო თათბირისა, რომელიც უნდა შესდგეს დაინტერესებულ და შემოწმებულ უწყებათა წარმომადგენლებისაგან.

60. სასწრაფო შემთხვევისათვის აღრიცხვის ზედმეტი კრედიტის დანიშვნა (მუხ. 59) შეიძლება მოხდეს 25 მუხლში აღნიშნული წესის შეფარდებით, ე. ი. შემოწმებულ უწყებათა დასკვნისთანავე, იმ კრედიტების ფარგლებში, რომლის შესახებაც შეთანხმება მოხდა და იმ პირობით, რომ ამის შემდეგ დაუყონებლივ აღიძრას სათანადო შუამდგომლობა რევოლიუციონური კომიტეტის წინაშე.

61. აღრიცხვის ზედმეტი კრედიტები ნაციონალიზაცია ქმნილ წარმოებათა ხარჯების დასაფარავი ფონდის ანგარიშში გაიხსნება სახელმწიფო წარმოებათა ფინანსიურად უზრუნველყოფის დეკრეტის წესით.

62 აღრიცხვის ზედმეტი კრედიტების მოქმედება განისაზღვრება იმავე ვადით, რომელიც დადგენილია ჩვეულებრივი აღრიცხვების კრედიტებისათვის.

საქ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. მდივანი.**

ფინანსთა სახალხო კომისარი **ალ. სვანიძე.**

რევოლიუც. კომიტეტის მდივანი **ალ. სალარიძე.**

1921 წ., აგვისტოს 10.

ტფილისი—სასახლე.

ჩვენი ფოსტა

ამხ. დათიკო ქუჩუკაძეს შეიარეთ რედაქციაში.

სარედაქციო კოლეგია.

სახალხო ბანკის გამგეობისაგან

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს საზოგადოების საყურადღებოდ, რომ ა. წ. პირველ ენკენისთვიდან იწყებს მუშაობას სახალხო ბანკი, რომელიც აწარმოებს ბანკის წესდებით ნებადართულ ყოველ-გვარ საბანკო ოპერაციებს.

ბანკის გამგეობა.

მბეჭდავთა კავშირის გამგეობა

ამით აცხადებს კავშირის წევრთა საყურადღებოთ, რომ 1 სექტემბრისათვის დანიშნული სრულიად საქართველოს პოლიგრაფიული წარმოების კონფერენცია გადადებულია და დანიშნული 15 სექტემბრისათვის 1921 წ. ვინაიდან გამგეობა ღებულობს პროვინციელ აგენტებიდან ცნობას, რომ მათ 1 სექტემბრისათვის ჩამოსვლა არ შეეძლებათ.

გამგეობა.